ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice

GCRT წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი

# არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესი საქართველოს პრობაციის და პენიტენციურ სისტემებში

# კვლევის ანგარიში

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის
Rehabilitation initiative for vulnerable groups

თბილისი
2020

წინამდებარე ანგარიში შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

**კვლევის ავტორები:** ანტონ ქელბაქიანი
ნატალია ცაგარელი

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სოფიო ვიბლიანს და ნათია ტაბატაძეს კვლევის პროცესში შეტანილი წვლილისთვის.





## სარჩევი

შესავალი ..... 4
კვლევის დიზაინი ..... 5
კვლევის მიზანი და ამოცანები ..... 5
კვლევის მეთოდოლოგია ..... 5
კვლევის შეზღუდვა ..... 8
კვლევის ძირითადი მიგნებები ..... 9
პატიმრობა/თავისუფლების აღკვეთა ..... 9
პენიტენციური დაწესებულებიდან არასრულწლოვან მსჯავრდებულთა გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესი ..... 11
არასაპატიმრო სასჯელი ..... 12
ზრუნვის შემდგომი (ე.წ. After Care) სისტემა ..... 14
რეკომენდაციები ..... 16
საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი ..... 17
ზოგადი პრინციპები ..... 17
პატიმრობა/თავისუფლების აღკვეთა ..... 19
არასაპატიმრო ღონისძიებები ..... 21
ევროპული ქვეყნების პრაქტიკა ..... 24
პროგრამა “SMART” ..... 24
ნიდერლანდები ..... 26
გერმანია ..... 29
ადგილობრივი კანონმდებლობა და პრაქტიკა ..... 34
კვლევების/ანგარიშების მეორადი ანალიზი ..... 34
პატიმრობა/თავისუფლების აღკვეთა ..... 37
პენიტენციური დაწესებულებიდან მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესი ..... 46
არასაპატიმრო სასჯელები ..... 52
ზრუნვის შემდგომი სისტემა ..... 63

## შესავალი

საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთავარი მიზანია არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია, საზოგადოებაში რეინტეგრაცია და ხელახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

საერთაშორისო სტანდარტების მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ქვაკუთხედად მათ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას, საზოგადოებაში რეინტეგრაციასა და განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას მიიჩნევს: არასრულწლოვანთა დახურულ ინსტიტუციაში განთავსება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში განიხილება. კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთი ზომების გამოყენებას, რომ არასრულწლოვნები პენიტენციურ სისტემაში მოხვედრისა და სტიგმატიზებისგან დაიცვას.

მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში ქვეყანაში უკვე არსებობს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პოზიტიური გამოცდილება, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების რაოდენობა მზარდია.

შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეაბილიტაციის პროცესი და ის სერვისები, რომელსაც არასრულწლოვნები პრობაციის და პენიტენციურ სისტემებში განთავსებისას იღებენ. მნიშვნელოვანია შეფასდეს: არასრულწლოვნებისთვის მიწოდებული სერვისები რამდენად შეესაბამება მათ საჭიროებებს; რამდენად უზრუნველყოფილია სერვისების უწყვეტობა პენიტენციური და პრობაციის სისტემაში მოხვედრილი არასრულწლოვნებისთვის; არის თუ არა ცალკეული პროგრამები მტკიცებულებებზე დაფუძნებული; როგორ ხდება პროგრამების განხორციელების ხარისხის კონტროლი.

წინამდებარე კვლევა განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - "არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა" ფარგლებში, წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT) და ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის (RIVG) მიერ.

კვლევა ფოკუსირებულია სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიის ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებაზე, როგორიცაა არასრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ეფექტიანი რეაბილიტაცია/რესოციალიზაცია.

ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ასახვის, მიღწევებისა და გამოწვევების გამოვლენის მიზნით, კვლევითმა გუნდმა 2019 წელს გაანალიზა როგორც ადგილობრივი, ასევე





საერთაშორისო კანონმდებლობა და სტანდარტები და არასრულწლოვანთა საკითხებზე მომუშავე საჯარო უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

GCRT და RIVG იმედს გამოთქვამენ, რომ წინამდებარე ანგარიში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული უწყებებისა და ორგანიზაციებისთვის ღირებული იქნება.

## კვლევის დიზაინი

### კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია საქართველოს პრობაციის და პენიტენციურ სისტემებში არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის შეფასება და ამ სფეროში არსებული გამოწვევების გამოვლენა.

**კვლევის ამოცანებია:**

1. საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა;
2. საერთაშორისო პრაქტიკის მომოხილვა;
3. ადგილობრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკასთან მიმართებაში.

### კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება შემდეგი სახის მეთოდოლოგიას:

1. საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი;
2. საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა;
3. ადგილობრივი კანონმდებლობის ანალიზი;
4. საჯარო ინფორმაციის ანალიზი;
5. კვლევების/ანგარიშების მეორადი ანალიზი;
6. ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები.

1) საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი

ჩატარდა იმ საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი, რომელიც პენიტენციური და პრობაციის სისტემაში მოხვედრილი არასრულწლოვნების რეაბილიტაცია/რეინტეგრაციის საკითხებს ეხება. კერძოდ:

- გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენცია (სავალდებულო);
- გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 (სარეკომენდაციო);
- გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“), (სარეკომენდაციო);
- გაერო-ს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად („ჰავანას წესები“);
- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N5, ბავშვთა უფლებების კონვენციის განხორციელების ზოგადი ღონისძიებები, გაერო-ს დოკ. CRC/GC/2003/5;
- გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო პრინციპები მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვთა მიმართ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ (1997, ვენის დებულებები) (სარეკომენდაციო);
- გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები);
- ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ;
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ;
- არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაერო-ს სტანდარტული მინიმალური წესები (ტოკიოს წესები).

2) საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა

პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში მყოფი არასრულწლოვნების რეაბილიტაციის კუთხით არსებული საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისთვის გაანალიზდა სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება. კვლევის ანგარიშში წარმოდგენილია პროგრამა (SMART), რომელიც გამოიყენება რამდენიმე ქვეყანაში[1], ასევე დამატებით განხილულია ჰოლანდიისა და გერმანიაში არსებული სხვადასხვა სახის პროგრამები.

[1] ბელგია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, დანია, ესტონეთი, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, იტალია, კოსოვო, ლიტვა, ლუქსემბურგი, მაკედონია, მონტენეგრო, ჰოლანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სერბეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, თურქეთი, გაერთიანებული სამეფო.





3) ადგილობრივი კანონმდებლობის ანალიზი

კვლევაში მიმოხილულია საქართველოს პრობაციის და პენიტენციურ სისტემებში არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესის განმსაზღვრელი ადგილობრივი ნორმატიული აქტები და საერთაშორისო სტანდარტებთან მათი შესაბამისობა.

4) საჯარო ინფორმაციის ანალიზი

პრობაციის და პენიტენციურ სისტემებში რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესის შეფასებისთვის, გაანალიზებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან (სპეციალური პენიტენციური სამსახური, პრობაციის ეროვნული სააგენტო და დანაშაულის პრევენციის ცენტრი[2]) გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია.

5) კვლევების/ანგარიშების მეორადი ანალიზი

კვლევაში განხილულია შემდეგი კვლევები/ანგარიშები:

- ,,კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი“. ASB, თბ., 2017;
- ,,ყოფილ პატიმართა და პრობაციონერთა რეაბილიტაცია: საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა“. ASB, თბ., 2017;
- ,,კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთათვის არსებული საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამების ანალიზი“, სამაგიდე კვლევის ანგარიში“. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია. თბ., 2018;
- დასაქმების ბაზრის კვლევა და კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა პროფესიული შესაძლებლობები და საჭიროებები“ სიდა, თბ., 2017;
- ,,პენიტენციური დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა განთავისუფლებისთვის მომზადების პროცესი, როგორც ,,გარდამავალი მენეჯმენტის“ შემადგენელი ნაწილი: კვლევის ანგარიში“,. ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის, თანადგომა, Mainline Foundation, თბ., 2018;
- ,,პენიტენციურ დაწესებულებებში წამალდამოკიდებულ პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურების სტანდარტები”. თანადგომა, თბ., 2015.

[2] პრობაციის ეროვნული სააგენტო და დანაშაულის პრევენციის ცენტრი 2020 წელს ერთ სსიპ-ად გაერთიანდა და ამჟამად მას "დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო” ეწოდება.

6) ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები

საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ჩართულ პირთა სპეციალიზაციის პროცესის შესწავლისთვის გამოყენებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფის მეთოდი. შემუშავდა შესაბამისი ინსტრუმენტები/კითხვარები.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართული სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მენეჯმენტის მაღალი და საშუალო რგოლის წარმომადგენლებმა.

კვლევის მონაწილეები: დანაშაულის პრევენციის ცენტრი - 4 რესპონდენტი; პრობაციის ეროვნული სააგენტო - 2 რესპონდენტი; არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები - 3 რესპონდენტი. სულ ჩატარდა: 6 ინტერვიუ და 1 ფოკუს-ჯგუფი.

შერჩევის პროცედურა: სახელმწიფო უწყებებიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღეს იმ რესპონდენტებმა, რომლებიც ოფიციალური მიმართვის საფუძველზე, საკუთარი თანამშრომლებიდან თვითონ უწყებებმა შეარჩიეს. დანარჩენი რესპონდენტები არიან იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სპეციალიზაციის პროცესში ან მართლმსაჯულების სფეროს სპეციალიზებულ პროფესიონალებთან ხშირი საქმიანი კავშირები აქვთ.

## კვლევის შეზღუდვა

- თვისებრივ კვლევაში მონაწილეობის მიღების მიზნით, წერილობით ეცნობა იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს. სამწუხაროდ, კანონით განსაზღვრულ ვადაში მათ თვისებრივ კვლევაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ მოგვაწოდეს. გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტროდან მიღებული საჯარო ინფორმაცია იყო არაერთგვაროვანი. მითითებული შეზღუდვების გათვალისწინებით, თვისებრივი კვლევის ნაწილის შეივსო ამ სფეროში ჩატარებული სხვა კვლევების/ანგარიშების მეორადი ანალიზის მეშვეობით;
- კვლევაზე მუშაობის დროს, იუსტიციის სამინისტროში რეორგანიზაცია განხორციელდა. რეორგანიზაციის საფუძველზე, პრობაციის ეროვნული სააგენტო დანაშაულის პრევენციის ცენტრს შეუერთდა და ჩამოყალიბდა ერთი სსიპ-ი: დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო. ამის გამო, შესაძლოა, ზოგიერთი ის ნორმატიული აქტი, რომელიც ანგარიშშია გაანალიზებული, კვლევის დასრულებისთვის შეცვლილი იყოს.





## კვლევის ძირითადი მიგნებები

### პატიმრობა/თავისუფლების აღკვეთა

დღეს არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის თანახმად, არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, თავსდება არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო ან N5 ქალთა დაწესებულებაში. არასრულწლოვანი ბრალდებულები სასჯელის მოხდის მიზნით, როგორც წესი, გადაჰყავთ N2, N8 და N5 (არასრულწლოვანი გოგონების შემთხვევაში) დაწესებულებებში. თუმცა, უსაფრთხოების მიზნით, შესაძლოა, არასრულწლოვანი მსჯავრდებული N2 და N8 დაწესებულებაშიც მოათავსონ.

ადგილობრივი კანონმდებლობა პრინციპებისა და ძირითადი დებულებების დონეზე საერთაშორისო სტანდარტებს სრულად შეესაბამება. კანონმდებლობა პრიორიტეტულად მიიჩნევს ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებულ მიდგომებს. ის ასევე განსაზღვრავს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო-დასაქმების პროგრამების ორგანიზების ჩარჩოს, სადაც განსაზღვრულია სხვადასხვა პროფესიონალების ფუნქციები. კანონი ადგენს გარე სამყაროსთან კონტაქტის შესაძლებლობის სხვადასხვა ფორმებს, რაც რეაბილიტაციის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, ჩამოყალიბებულია სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი, რაც რეაბილიტაციის ეფექტიანი ორგანიზებისთვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

თუმცა, კანონმდებლობაში არის ხარვეზებიც, რაზეც გარკვეულწილად გავლენას ახდენს ჩამოყალიბებული პრაქტიკა. არასრულწლოვანს, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ხდება 18 წლის, შეუძლია სასჯელის მოხდის მიზნით N11 დაწესებულებაში დარჩეს. გადაწყვეტილებას ამის შესახებ დაწესებულების დირექტორი იღებს, მსჯავრდებულის განცხადების საფუძველზე. თუმცა, კრიმინალურ სუბკულტურაში არსებული წესების გამო, ხშირ შემთხვევაში ასეთი შინაარსის განცხადება, შესაძლოა, მსჯავრდებულის უსაფრთხოებისთვის რისკის შემცველი იყოს.

კანონის თანხმად, არასრულწლოვან მსჯავრდებულს, შესაძლოა, სასჯელის სახით მაქსიმუმ 12 წელი მიესაჯოს. ამავე დროს, კანონი არ იძლევა საშუალებას, რომ არასრულწლოვანი მსჯავრდებული სასჯელის ვადის ამოწურვამდე N11 დაწესებულებაში დარჩეს. თუმცა, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს და რაიმე ხელშემშლელი რისკები არ არის, აღნიშნულ დაწესებულებაში არასრულწლოვანი მსჯავრდებული 21 წლამდე უნდა დარჩეს.

სტატისტიკური ინფორმაცის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ 2014-2017 წლებში, უმეტეს შემთხვევებში, 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ მსჯავრდებულები სასჯელის მოხდის მიზნით სრულწლოვანთა დაწესებულებებში გადაჰყავდათ. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სრულწლოვანთა

დაწესებულებებში გადაყვანის დინამიკა 2018-2019 წლებში მინიმუმამდე შემცირდა. ეს ფაქტი, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს პატიმრების რაოდენობის კლებასთან.

არსებული წესი, რომლის მიხედვითაც 18 წელს მიღწეული არასრულწლოვნები სრულწლოვანთა დაწესებულებაში გადაჰყავთ, მოზარდების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესისთვის დამაზიანებელია. არსებული პრაქტიკა განპირობებულია ნაწილობრივ საკანონმდებლო და ნაწილობრივ ინფრასტრუქტურული ხარვეზებით. კანონით დაშვებულია მოზარდის N11 დაწესებულებაში მხოლოდ 21 წლამდე დატოვება, არასრულწლოვნის სასჯელის მაქსიმალური ვადა კი 12 წელია. კანონით ნებადართული რომ იყოს, მოზარდის დაწესებულებაში დატოვება 29 წლამდე იქნებოდა შესაძლებელი. თუმცა, ხელისშემშლელი ფაქტორია ინფრასტრუქტურა, რადგან დაწესებულებას შეზღუდული ფართი აქვს. გარდა ამისა, მსჯავრდებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესის ორგანიზებისათვის მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს სხვადასხვა ჯგუფების სეგრეგაცია.

ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები იკვეთება N2 და N8 დაწესებულებებში, სადაც არასრულწლოვნები არიან განთავსებულნი. N11 დაწესებულებაში მყოფი არასრულწლოვნებისგან განსხვავებით, მათ არ აქვთ სხვადასხვა სახის, განსაკუთრებით კი სპორტულ და რეკრეაციულ აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობა. ამ დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვნები დღის უმეტეს ნაწილს საკნებში ატარებენ.

კვლევის პერიოდში, არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის პენიტენციურ დაწესებულებებში ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის პროგრამები, კერძოდ: სახელობო/პროფესიული სწავლება; რეკრეაციული პროგრამა; სატრენინგო/საგანმანათლებლო პროგრამა; კომპიუტერული სასწავლო პროგრამა; ფსიქო-სოციალური პროგრამები; ფსიქო-სოციალური თერაპიები; კულტურული ღონისძიებები; ინტელექტუალური/შემეცნებითი პროგრამები/შეხვედრები; სპორტული ღონისძიება; საზოგადოებასთან ურთიერთობის მხარდამჭერი პროგრამა და სხვა. აღნიშნული სერვისების უმრავლესობა, ძირითადად, N11 დაწესებულებაში ხორციელდებოდა.

კვლევის პროცესში გამოვლინდა ხარვეზები სერვისების ხარისხის კონტროლის სისტემაში. გაირკვა, რომ უწყებას არ აქვს წინასწარ განსაზღვრული იმ სერვისების ჩამონათვალი, რომლის საჭიროებაც დგება ყოველი წლის განმავლობაში. ასეთი სახის ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი სამთავრობო უწყებებისა და სერვისის მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რაც უზრუნველყოფს ადამიანური და მატერიალური რესურსების დაზოგვასა და რეაბილიტაციის პროცესის უწყვეტობას.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ სერვისების მიმღებთა მოტივაცია დაბალია, რაც ძირითადად კრიმინალურ სუბკულტურასთან კავშირითაა გამოწვეული. სერვისების ბენეფიციართა დაბალი მოტივაცია პენიტენციური სისტემისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა და ის





გავლენას ახდენს მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო-სარებილიტაციო პროცესზე. აღნიშნული ხარვეზები, შესაძლოა, ისეთივე მასშტაბით არა, როგორც N2 და N8 დაწესებულებებში, მაგრამ შეიმჩნევა N11 დაწესებულებაშიც. კრიმინალური სუბკულტურის კუთხით უფრო დიდია რისკი N2 და N8 დაწესებულებებში, სადაც არასრულწლოვნები სრულწლოვნებისგან მხოლოდ ფორმალურად არიან განცალკევებულნი, პატიმრების უმრავლესობას კი სრულწლოვნები წარმოადგენენ.

## პენიტენციური დაწესებულებიდან არასრულწლოვან მსჯავრდებულთა გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესი

ადგილობრივი კანონმდებლობა, რომელიც არასრულწლოვანი მსჯავრდებულების გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესს ეხება, სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა, ჩამოყალიბებული პრაქტიკა და შესაბამისი რეგულაციები მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესის ეფექტიან განხორციელებას ვერ უზრუნველყოფს.

საზოგადოებაში მსჯავრდებულთა ეფექტიანი რეინტეგრაციის მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესს. ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩოსა და პრაქტიკის თანახმად ამ პროცესში გარკვეული ფორმით ჩართული იყო როგორც პრობაციის ეროვნული სააგენტო, ისე სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

2014-2019 წლების განმავლობაში N11 დაწესებულებიდან პრობაციის ეროვნული სააგენტოს ზრუნვისა და კონტროლის ქვეშ 184 არასრულწლოვანი მსჯავრდებული გადავიდა. ამ წლების განმავლობაში სააგენტოში გადასული არასრულწლოვნების რაოდენობა იკლებდა, რაც მაღალი ალბათობით, სისხლის სამართლის პოლიტიკის ცვლილებით არის გამოწვეული (კვლევის პროცესში, არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია იმ არასრულწლოვნების შესახებ, რომლებიც N8 დაწესებულებიდან გათავისუფლდნენ).

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელიც ამ პროცესში მათ ჩართულობას ეხება, მხოლოდ 2015 წლის შემდგომ პერიოდს მოიცავს. როგორც კვლევამ აჩვენა, პროცესში მათი ჩართულობა მსჯავრდებულებისთვის გათავისუფლების შემდგომ მათთვის ცენტრში არსებული სერვისების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლება. პროგრამის გაცნობის მიზნით, 2015 წლიდან დღემდე დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური მუშაკები 138 არასრულწლოვან პატიმარს შეხვდნენ. 2015 წელს ამ მიზნით შეხვდნენ 74 არასრულწლოვან მსჯავრდებულს, ხოლო 2019 წელს - 9 მსჯავრდებულს (ასეთი სახის კლება დაკავშირებულია პატიმრების რაოდენობის კლებასთან) .

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ N11 დაწესებულება გარკვეულწილად ჩართული იყო მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში, რა დროსაც ისინი თანამშრომლობდნენ როგორც პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან, ისე დანაშაულის პრევენციის ცენტრთან. თუმცა, ეს პროცესი პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან მიმართებაში მიბმული იყო ძირითადად ვადაზე ადრე გათავისუფლების სისტემასთან, დანაშაულის პრევენციის ცენტრის ჩართულობა კი, გათავისუფლებამდე 3 თვით ადრე მსჯავრდებულისთვის დანაშაულის პრევენციის ცენტრში არსებული სერვისების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლებოდა.  აღნიშნულ პროცესში ფაქტობრივად არ იყვნენ ჩართულები N2 და N8 დაწესებულებაში განთავსებული არასრულწლოვნები, ასევე ის არასრულწლოვნები, რომლებიც სრულწლოვანების ასაკის მიღწევის გამო სხვა დაწესებულებაში გადაიყვანეს. გამონაკლისი იყო N16 დაწესებულება, სადაც გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესი, მართალია, ხარვეზებით, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა.

აღნიშნული ხარვეზების თაობაზე ასევე აღნიშნეს თვისებრივ კვლევაში მონაწილე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა და განმარტეს, რომ დაგეგმილია გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესის მარეგულირებელი ახალი კონცეფციის ჩამოყალიბება, რომელიც ე.წ გარდამავალი მენეჯმენტის  პროცესს დეტალურად დაარეგულირებს.

## არასაპატიმრო სასჯელი

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, არასრულწლოვანთა არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებას (გარდა ჯარიმისა) ახორციელებს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო. ადგილობრივი კანონმდებლობა, როგორც პრინციპების, ასევე ძირითადი დებულებების დონეზე სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკასთან. კანონმდებლობა განსაზღვრავს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის რეგულირების საკმაოდ დეტალურ ჩარჩოს, რომელიც სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვასაც გულისხმობს. ამ შემთხვევაშიც კანონი ხაზს უსვამს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში  პრიორიტეტი ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებას ენიჭება.

უდავოდ პროგრესულია კანონმდებლობის ის სტანდარტი, რომლის მიხედვითაც  საპატიმრო სასჯელი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება. ოფიციალური სტატისტიკა აჩვენებს, რომ საპატიმრო ღონისძიების გამოყენება არასრულწლოვნებთან მიმართებაში, 2014 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია. გარდა ამისა, განრიდების მექანიზმის აქტიურად გამოყენების გამო, ასევე მნიშვნელოვნად არის შემცირებული არასრულწლოვანი პრობაციონერების რაოდენობაც, რაც მისასალმებელია.





პრობაციის ეროვნული სააგენტოს მხრიდან მოწოდებული იქნა ინფორმაცია იმ პროგრამების თაობაზე, რომელიც 2014-2019 წლებში ხორციელდებოდა (2014-2015 წლებში არ მუშავდებოდა ინფორმაცია ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, რის გამოც წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია). კვლევამ აჩვენა, რომ მიწოდებული სერვისების რაოდენობა იყო საკმაოდ მრავალფეროვანი, თუმცა, ამ სერვისების რაოდენობა წლების მიხედვით იკლებდა, რაც, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს განრიდების მექანიზმის აქტიურ გამოყენებასთან.  ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მუდმივად არსებობდეს სხვადასხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ბენეფიციარი ჰყავს უწყებას.

პრობაციის ყველა იმ ბიუროში, სადაც დანერგილია რისკებისა და საჭიროებების შეფასება, ბენეფიციარებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდებას პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო უზრუნველყოფს. საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვის პროცესი აგებულია მსჯავრდებულის რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის სისტემაზე.

სერვისების ძირითადი მიმწოდებლები (დაახლოებით 70%) არიან უშუალოდ პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები. არის გამოწვევები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. კერძოდ, არის რეგიონები, სადაც ხელმისაწვდომი არ არის ფსიქოლოგი/სოციალური მუშაკი. იმის გამო, რომ სარეაბილიტაციო პროგრამებს, ძირითადად, სააგენტოს თანამშრომლები ახორციელებენ, იმ რეგიონებში,  სადაც ფსიქოლოგები/სოციალური მუშაკები არ ჰყოფნით, სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით ხარვეზები იკვეთება.

კვლევის პერიოდში, პრობაციის ეროვნულ სააგენტოში არსებობდა სხვადასხვა სახის სერვისები, კერძოდ: ძალადობის რაობა და მისგან დაცვის საკანონმდებლო მექანიზმები; ბრაზის მართვა;  პენიტენციური სტრესის მართვის სატრენინგო მოდული;  ტრეფიკინგი; ჯანსაღი ცხოვრების წესი; ცხოვრებისეული ფასეულობები; საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროგრამა; საინფორმაციო ხასიათის ტრენინგი; ადამიანის უფლებების, მოწყვლადი ჯგუფებისადმი ტოლერანტობის განვითარების ტრენინგ-პროგრამა; ადიქტოლოგია - ჩავარდნის პროფილაქტიკა; ეფექტური კომუნიკაცია; თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის სატრენინგო მოდული; სოციალურ გარემოში ადაპტაცია; დანაშაულის გაცნობიერება მოზარდებისათვის; კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა; ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამა; ცხოვრებისეული ფასეულობები (ზრდასრულები); ცხოვრებისეული რისკები და პიროვნული რესურსები; მომავლის დაგეგმვა; პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების პროგრამა; ინტერვენციის პროგრამა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირობით

მსჯავრდებულთათვის; დანაშაულის გაცნობიერება; როგორ დავეხმაროთ მოზარდებს (მშობელთა უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამა).

სააგენტოში არსებობს ხარისხის კონტროლის სისტემა, რაც თანამშრომლებზე პროფესიულ ზედამხედველობას გულისხმობს. ხარისხის კონტროლის სისტემა მოიცავს ჯგუფური მუშაობის პროცესზე დაკვირვებას, დოკუმენტაციის შემოწმებას და სიმულაციურ ტრენინგებს. ამ ეტაპზე ჩამოყალიბებული არ არის მიწოდებული სერვისების ხარისხის შეფასების სისტემა და რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ შეფასების ინსტრუმენტის დამუშავება ახლა მიმდინარეობს (როგორც ამ სფეროში ჩატარებული სხვა კვლევებიც ცხადყოფს, ასეთი სახის ინსტრუმენტების შექმნა დროში ძალიან იწელება ). გარდა ამისა, კვლევისას გამოიკვეთა, რომ იგეგმება რისკებისა და საჭიროებების ინსტრუმენტის მოდიფიცირებაც, რაც საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ გარედან მიწოდებული სერვისების ხარისხის კონტროლი ვერ ხორციელდება, რადგან სერვისის მიმწოდებლები დონორებთან არიან ანგარიშვალდებულნი და არა სამინისტროსთან.

ბენეფიციარებისთვის მრავალფეროვანი სერვისების მიწოდების მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უწყებათაშორისი თანამშრომლობის პროცესს. რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ არსებობს პროკურატურასთან წარმატებული თანამშრომლობის პრაქტიკა, რაც ნამდვილად მისასალმებელია. თუმცა, უწყებათაშორისი თანამშრომლობა გულისხმობს მჭიდრო კომუნიკაციას როგორ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან, ასევე ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ის კვლევები, რომლებიც უშუალოდ რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესში უწყებებს შორის თანამშრომლობას ეხებოდა და რომელთა ფარგლებშიც მნიშვნელოვანი რეკომენდაციები გაიცა.

## ზრუნვის შემდგომი (ე.წ. After Care) სისტემა

ადგილობრივი კანონმდებლობა, პრინციპებისა და ძირითადი დებულებების დონეზე საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას, რომ შესაბამისმა უწყებამ იზრუნოს ყოფილ არასრულწლოვან პატიმრებზე. თუმცა, კანონი მხოლოდ ძალიან ზოგად ჩარჩოს განსაზღვრავს, რაც სახელმწიფო კონტროლის სისტემიდან გასული არასრულწლოვანი პირების ეფექტიან მხარდაჭერას ვერ უზრუნველყოფს.

პენიტენციური სისტემიდან არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლების შემთხვევაში, შესაძლოა, მას პირობითი მსჯავრი არ ჰქონდეს და სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ აღარ იმყოფებოდეს. ერთადერთი უწყება, რომელსაც კვლევის საანგარიშო პერიოდში,





კანონმდებლობის შესაბამისად ჰქონდა შესაძლებლობა, რომ ყოფილი არასრულწლოვანი პატიმრებისთვის გარკვეული სახის სერვისები შეეთავაზებინა, იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრი იყო. ამ დროისთვის დანაშაულის პრევენციის ცენტრი პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან არის გაერთიანებული. იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ამ გაერთიანებული სააგენტოს ფუნქციაა, რომ სახელმწიფოს ზრუნვის სისტემიდან გასვლის შემთხვევაში არასრულწლოვნებს მხარი დაუჭიროს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 2019 წლის ბოლომდე ფუნქციონირებდა სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“, რომლის ბაზაზეც მიმდინარეობდა „ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა“. ამ სტრუქტურულ ერთეულს ჰქონდა გარკვეული ფუნქცია როგორც გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში, ისე გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის ნაწილში. კვლევამ აჩვენა, რომ წლების განმავლობაში, ერთადერთი სერვისი, რომელსაც ცენტრი ბენეფიციარებს აწვდიდა, ე.წ ტატუს მოშორების პროგრამა იყო.

დანაშაულის პრევენციის ცენტრის სერვისების ხარისხის კონტროლის სისტემაში არის გარკვეული სახის ხარვეზები. მიწოდებული სერვისების ხარისხი იზომება სპეციალური კითხვარებით, პრე და პოსტ-ტესტების მეშვეობით. უწყებას ჩამოყალიბებული არ ჰქონდა მიწოდებული სერვისების ხარისხის კონტროლის სისტემა.

მნიშვნელოვანი ფაქტორია არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგები. ამ პოლიტიკის შედეგად, გასული წლების განმავლობაში, პრიორიტეტი არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებას ენიჭებოდა. არასრულწლოვნების მიმართ უმეტესად გამოიყენებოდა განრიდება და პირობითი მსჯავრი, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში - პატიმრობა/თავისუფლების აღკვეთა. ამ გამონაკლის შემთხვევებშიც ხშირი იყო შერეული სასჯელი (თავისუფლების აღკვეთა + პირობითი მსჯავრი), ან გამოიყენებოდა არასრულწლოვნის ვადაზე ადრე გათავისუფლების მექანიზმი, რის გამოც ისინი პრობაციის ეროვნული სააგენტოს ზრუნვისა და კონტროლის ქვეშ გადადიოდნენ. ამის გამო, დანაშაულის პრევენციის ცენტრს სერვისების მიწოდების მხრივ დიდი ტვირთი არ ჰქონდა.

პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის შერწყმისა და შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების ჩამოყალიბების შემდეგ შესაძლებელი იქნება ვიმსჯელოთ იმაზე, თუ კონკრეტულად რა ფორმით ჩამოყალიბდება არასრულწლოვანი ყოფილი პატიმრების ე.წ ზრუნვის შემდგომი სისტემა (After Care). აღნიშნული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ასეთი სახის სისტემა ამ ეტაპზე, ფაქტობრივად, არ არსებობს.

## რეკომენდაციები

- იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავოს იმ პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა, რომლებშიც მოთავსებულები არიან არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები;
- განხორციელდეს ცვლილებები კანონმდებლობაში, რომლის მიხედვითაც, 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, N11 დაწესებულებაში მსჯავრდებულის დატოვება იქნება დაწესებულების დირექტორის დისკრეციული უფლებამოსულება და ამისთვის აუცილებელი პირობა აღარ იქნება მსჯავრდებულის მიერ პირადი განცხადების დაწერა;
- ჩამოყალიბდეს როგორც სახელმწიფოს, ასევე სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ მიწოდებული სერვისების ხარისხის კონტროლის სისტემა;
- ჩამოაყალიბდეს კრიმინალური სუბკულტურის გავლენის აღმოფხვრის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა, რომელიც მტკიცებულებებზე იქნება დაფუძნებული ;
- ჩამოყალიბდეს გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის დეტალური მექანიზმები ისეთი შემთხვევებისთვის, როცა მსჯავრდებულის გათავისუფლება არ ხდება პირობით ვადაზე ადრე ან/და მოსახდელი აქვს პირობითი მსჯავრი. მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლობის პროცესში ჩართული იყოს ყველა ის პენიტენციური დაწესებულება, საიდანაც, შესაძლოა, არასრულწლოვანი მსჯავრდებული (მათ შორის სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგაც) გათავისუფლდეს;
- გაიზარდოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა (დანაშაულის პრევენციის ცენტრში და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში[3]) იმ რეგიონებში, სადაც ყველაზე მეტად არის ამის საჭიროება. გარდა ამისა, იუსიტიციის სამინისტრომ პერიოდულად უნდა იზრუნოს როგორც პერსონალის პროფესიულ ზედამხედველობაზე, ისე შესაბამისი მხარდაჭერის აღმოჩენასა და „პროფესიული გადაწვის" პრევენციაზე.
- პროფესიული განათლების მიწოდების კუთხით, იუსტიციის სამინისტრომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, შეიმუშაოს ისეთი მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს ერთიანი პროფესიული განათლების პროგრამის ჩამოყალიბებას და მისი განხორციელების პროცესის გაუმჯობესებას;
- იუსტიციის სამინისტრომ გააძლიეროს და გააფართოვოს ბიზნეს ინიციატივების მხარდამჭერი პროგრამა და გაავრცელოს ის პრობაციონერებზე/ყოფილ მსჯავრდებულებზე;

[3] ამჟამად უკვე გაერთიანებულ სააგენტოში - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში.





- უწყებათაშორისი თანამშრომლობის შედეგად შემუშავდეს კერძო სექტორის წახალისების ერთიანი ხედვა და მექანიზმი, რაც, შესაძლოა, გამოიხატებოდეს მადლობის გამოცხადებით, ჯილდოს დაწესებით ან/და სხვა სახის ღონისძიებით.

## საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი

### ზოგადი პრინციპები

გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად - "ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური დაცვის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას"[4]. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საუკეთესო ინტერესი არის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, რომლის მიხედვითაც უნდა მიიღებოდეს ბავშვთან მიმართებაში გამოტანილი გადაწყვეტილება. გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტის N14 ზოგადი კომენტარი მხოლოდ ამ პრინციპის დეტალურ განმარტებას ეხება.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლება და ისინი შეძლებისამებრ, მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებასა და ჯანსაღ განვითარებას. ეს ეხება ბავშვებს მათი სიცოცხლის ყველა ეტაპზე, ნებისმიერ გარემოში, იმ ბავშვების ჩათვლით, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არიან მოხვედრილნი: „მონაწილე სახელმწიფოები შეძლებისამებრ მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ბავშვის სოცოცხლის შენარჩუნებას და ჯანსაღ განვითარებას".[5] ბავშვის უფლებათა კონვენციის კონტექსტში "განვითარება" ყოვლისმომცველი ცნებაა: საქმე ეხება ბავშვების უზრუნველყოფას ოპტიმალური პირობებით, რაც მათ საშუალებას მისცემს, რომ ბავშვობის პერიოდში ისარგებლონ ყველა შესაბამისი უფლებით, მაშინაც კი, როცა ისინი ხვდებიან მართლმსაჯულების სისტემაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ბავშვის საუკეთესო ინტერესზე დაფუძნებული მიდგომების თაობაზე განმარტებას აკეთებს გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტი. კერძოდ: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში, ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესს. უფროსებისგან ბავშვებს ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარება, აგრეთვე ემოციური

[4] გაერო-ს ბავშვთა უფლებათა კონვენცია მ.3 (1).
[5] იქვე, მ.6

და საგანმანათლებლო საჭიროებები განასხვავებს. სწორედ ეს განსხვავებებია, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისათვის შედარებით მსუბუქი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. ეს განსხვავებები წარმოშობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განცალკევებისა და ბავშვების მიმართ განსხვავებული მოპყრობის საჭიროებას. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა, მაგალითად, გულისხმობს, კანონდამრღვევი ბავშვების მიმართ სისხლის სამართლის ისეთი ტრადიციული ამოცანების ჩანაცვლებას, როგორიცაა რეპრესია/დასჯა - რეაბილიტაციითა და აღდგენითი მართლმსაჯულებით, რაც აუცილებელია განხორციელდეს საზოგადოების უსაფრთხოების საკითხის გათვალისწინებით“.[6]

საერთაშორისო სტანდარტები მკაფიოდ აყალიბებს, თუ რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა. ამ პროცესში წინა პლანზე დგას ბავშვის ინტერესების დაცვა და მისი საზოგადოებაში ინტეგრაციის ამოცანა. [7]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა აერთიანებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებაში გამოყენებად კანონმდებლობას, ნორმებს, სტანდარტებს, სახელმძღვანელო პრინციპებს, პოლიტიკას, პროცედურებს, მექანიზმებს, დებულებებს, შესაბამის ინსტიტუტებსა და ორგანოებს (პოლიცია, პროკურორები, ადვოკატები, სასამართლო, სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, პრობაციის სამსახურები, სასჯელაღსრულების დაწესებულებები, ბავშვზე ზრუნვის ორგანოები).

აქვე უნდა ითქვას, რომ გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტი ხაზს უსვამს აუცილებლობას, რომ ბავშვის უფლებთა დაცვის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის წარმატებით განხორცილებისთვის უნდა ჩამოყალიბდეს დეტალური პროცედურები, რეგულაციები და სახელმძღვანელო პრინციპები - „ფუნდამენტურია იმის უზრუნველყოფა, რომ მთელი შიდა კანონმდებლობა სრულად შეესაბამებოდეს კონვენციას და კონვენციის პრინციპებისა და დებულებების გამოყენება პირდაპირ იყოს შესაძლებელი. გარდა ამისა, ეფექტიანი განხორციელებისათვის უნდა გატარდეს რიგი სხვადასხვა ზომებისა .... მათ შორის შეიქმნას სპეციალური სტრუქტურები და შემუშავდეს მონიტორინგის, ტრენინგისა და სხვა ტიპის აქტივობები მთავრობაში, პარლამენტსა და სასამართლოებში, ყველა დონეზე“.[8]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სასჯელის მიზნებთან და განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, საერთაშორისო სტანდარტებში უფრო

[6] გაერო-ს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პ.10.
[7] გაერო-ს ბავშვთა უფლებთა კონვენცია, მ.40 (1); გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების თაობაზე („პეკინური წესები“), პ.17.
[8] ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N5, ბავშვთა უფლებების კონვენციის განხორციელების ზოგადი ღონისძიებები, გაერო-ს დოკ. CRC/GC/2003/5, პუნქტი 1.





დეტალურ განმარტებსაც ვხვდებით. განმარტებები გვხდება როგორც სასჯელის მიზნებთან, ისე კონკრეტულად არასაპატიმრო და საპატიმრო სასჯელების გამოყენების წესთან დაკავშირებით.

## პატიმრობა/თავისუფლების აღკვეთა

საერთაშორისო სტანდარტებში ხაზგასმულია, რომ თავისუფლებააღკვეთილ ადამიანს უნდა მოეპყრან მისი უფლებების სრული პატივისცემით და ყოველგვარი დისკრიმინაციული მიდგომა აკრძალული უნდა იყოს. პენიტენციურ სისტემაში პირობები არ უნდა იყოს ღირსების შემლახავი და ციხეში ცხოვრება შეძლებისდაგვარად საზოგადოებაში ცხოვრების პოზიტიურ ასპექტებს უნდა უახლოვდებოდეს.

საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრავს იმ მიზანსაც, რასაც სასჯელი უნდა ემსახურებოდეს: „სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის, ან ნებისმიერი მსგავსი ღონისძიების დანიშვნის მიზანი, საბოლოო ჯამში, არის საზოგადოების დაცვა დანაშაულისაგან და რეციდივის შემცირება“[9]. ხოლო ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუკი „ციხეში გატარებული პერიოდი შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფს გათავისუფლების შემდეგ ამ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციას“.[10]

ამ მიზნის მისაღწევად, შესაბამისმა პენიტენციურმა დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ პატიმრების საჭიროებებზე მორგებული „განათლება, პროფესიული სწავლება და მუშაობა, სხვა ხელმისაწვდომი სათანადო სახის აღმზრდელობითი, მორალური, სულიერი, სოციალური, ჯანდაცვასთან დაკავშირებული და სპორტული ხასიათის დახმარების სახეები“[11]. საერთაშორისო სტანდარტები ასევე განმარტავს, რომ სარეაბილიტაციო პროცესის ორგანიზება უნდა იყოს აგებული სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაზე და ასეთი სახის გეგმები უნდა მოიცავდეს - მსჯავრდებულთა დასაქმებას; განათლებას და გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესს.[12] საერთაშორისო სტანდარტებში ასევე აღნიშნულია, რომ პატიმრებთან ურთიერთობა მიზნად უნდა ისახავდეს სოციალური რეაბილიტაციის გზით საზოგადოებასთან მათი ინტეგრირების მცდელობას[13]. ამ პრინციპების ცხოვრებაში გატარება მოითხოვს პატიმრებისადმი

[9] გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 4 (1).
[10] იქვე, წესი 4 (1).
[11] იქვე, წესი 4 (2).
[12] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები), წესი 103.4.
[13] გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წ.88 (1).

ინდივიდუალურ მიდგომას და კლასიფიცირების მოქნილი სისტემის არსებობას[14]. პატიმრებს, მათი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამებზე.[15]

არასრულწლოვანი პატიმრებისთვის სასკოლო განათლების მიღება უნდა იყოს სავალდებულო. პატიმართა განათლების სისტემა უნდა იყოს ინტეგრირებული ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემასთან.[16] ყველა დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილი იქნება სხვადასხვა სახის, მათ შორის სამართლებრივი და რელიგიური ლიტერატურით.[17] არასრულწლოვან პატიმრებს ასევე უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ პერიოდულად ჩაერთონ სხვადასხვა სახის რეკრეაციულ და კულტურულ ღონისძიებებში, მიიღონ პროფესიული განათლება და ჰქონდეთ ანაზღაურებადი დასაქმების შესაძლებლობა[18].

საერთაშორისო სტანდარტებში ცალკე არის აღნიშნული საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების როლი პატიმრების გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში: „პატიმრობის დასაწყისიდანვე საჭიროა იმ მომავალზე ფიქრი, რომელიც ელის პატიმარს ციხიდან გამოსვლის შემდეგ. ამიტომ მას უნდა გაეწიოს დახმარება იმ პირებთან და უწყებებთან ურთიერთობების შენარჩუნებასა და გამყარებაში, რომლებიც ციხის გარეთ არიან და რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან მისი ოჯახის ინტერესები და ხელი შეუწყონ გათავისუფლების შემდეგ მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას.“[19]

იქვე განმარტებულია, რომ საზოგადოების მოვალეობა არ სრულდება პატიმრის ციხიდან გათავისუფლებისას[20] და არანაკლებ მნიშვნელოვანი პროცესი იწყება სწორედ გათავისუფლების შემდეგ. “ყველა არასრულწლოვანმა უნდა ისარგებლოს იმ საშუალებებით, რაც მათ დაეხმარებათ გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებისკენ, ოჯახური ცხოვრებისკენ, განათლებისკენ ან სამსახურისკენ მობრუნებაში. ამ მიზნით ჩამოყალიბებული უნდა იქნეს სპეციალური კურსები და პროცედურები, ვადამდე ადრე გათავისუფლების ჩათვლით”.[21]

[14] იქვე, წ. 89 (1).
[15] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.28.1-28.7/106.1 -106.7.
[16] გაერო-ს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანას წესები), მ.38.
[17] იქვე, მ.41.
[18] იქვე, მ. 45, 46.
[19] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები), წესი 107.
[20] გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 90.
[21] გაერო-ს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანას წესები), მ.79.





სწორედ ამ მიზნით, მსჯავრდებულების გათავისუფლებისათვის მომზადება ძალიან მნიშვნელოვანია. მსჯავრდებულებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ მონაწილეობა მიიღონ იმ პროგრამებში, რომლებიც მათ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის უმტკივნეულოდ გავლაში დაეხმარება.[22] ამ მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული ყველა შესაძლებლობა: „რელიგია, განათლება, ტრენინგი, სოციალური დაცვა, დასაქმება, ფიზიკური განვითარება, მორალური დამოკიდებულების განვითარება. ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა შეესაბამებოდეს პატიმრის პიროვნულ ხასიათს. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი: პატიმრის კრიმინალური წარსული, სასჯელის ზომა და წინასწარ განსაზღვრული პერსპექტივები მისი გათავისუფლების შემდეგ[23]“.

## არასაპატიმრო ღონისძიებები

საერთაშორისო სტანდარტების თანამხად, „პრობაციის ორგანოები მიზნად უნდა ისახავდნენ განმეორებითი დანაშაულის შემცირებას პრობაციონერებთან დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბების გზით, რათა ზედამხედველობა გაუწიონ (საჭიროებისამებრ კონტროლი), დაეხმარონ და ხელი შეუწყონ წარმატებულ სოციალურ ინტეგრაციაში. ამგვარად, პრობაციას წვლილი შეაქვს საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და მართლმსაჯულების სამართლიან ადმინისტრირებაში.“ [24]

არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაერო-ს სტანდარტული მინიმალური წესების („ტოკიოს წესები“)[25] თანახმად, არასაპატიმრო ღონისძიებათა განხორციელების პროცესში უნდა ხდებოდეს ეფექტიანი ზედამხედველობა. მისი მიზანი უნდა იყოს განმეორებითი დანაშაულის რაოდენობის შემცირება და დამნაშავის დახმარება, მისი საზოგადოებაში ინტეგრაცია.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, პრობაციის სფეროში ზედამხედველობის განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

[22] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები), წესი 107.1.
[23] გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 92 (1).
[24] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ, ძირითადი პრინციპი 1
[25] არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაერო-ს სტანდარტული მინიმალური წესები (ტოკიოს წესები), მიღებულია გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის № 45/110 რეზოლუციით, წესი 10;

- ზედამხედველობა უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ მიდგომას. კერძოდ, თითოეული საქმისთვის უნდა მოიძებნოს ზედამხედველობისა და მოპყრობის ფორმა, რომელიც მიმართული იქნება სამართალდამრღვევის დასახმარებლად;
- აუცილებელია ზედამხედველობისა და მოპყრობის ფორმის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მისი შეცვლა;
- ზედამხედველობის ფარგლებში, სამართალდამრღვევს, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაეწიოს ფსიქოლოგიური, სოციალური და მატერიალური დახმარება;
- სამართალდამრღვევს საშუალება უნდა მიეცეს, გაამყაროს კავშირი საზოგადოებასთან, რაც ხელს შეუწყობს მის ინტეგრაციას. [26]

„ტოკიოს წესების“ მსგავსად, ზედამხედველობა გაგებული უნდა იყოს არა მხოლოდ როგორც კონტროლის, არამედ როგორც მსჯავრდებულისათვის დახმარების აღმოჩენის საშუალება. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით (CM/Rec (2010)1), ევროსაბჭოს პრობაციის წესების მიხედვით ის უნდა მოიცავდეს რჩევების მიცემას, დახმარების აღმოჩენასა და წახალისებას. საჭიროების შემთხვევაში ზედამხედველობა ასევე უნდა მოიცავდეს მსჯავრდებულისთვის ტრენინგების ჩატარებას, სხვადასხვა უნარების განვითარებას, დასაქმების შესაძლებლობის მიცემასა და რეაბილიტაციას[27]. ზედამხედველობის პროცესში პრობაციის ორგანოებმა დახმარება უნდა გაუწიონ მსჯავრდებულთა ოჯახებს და მიაწოდონ მათ საჭირო რჩევა და ინფორმაცია[28].

საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრავს, რომ პრობაციის ორგანოებმა სრულად უნდა გაითვალისწინონ მსჯავრდებულთა ინდივიდუალური მახასიათებლები, გარემოებები და საჭიროებები, რათა უზრუნველყოფილი იყოს თითოეული პრობაციონერის საქმის სამართლიანად და კანონის დაცვით აღსრულება[29]. გარდა ამისა, „პეკინური წესები“ განსაზღვრავს, რომ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაციის მოძიებას, მისი ინდივიდუალური მახასიათებლების შესახებ ანგარიშის მომზადებას, რაც უნდა გამოიყენებოდეს ზემოქმედების ზომის განსაზღვრისას. კერძოდ, უნდა გამოიკვლიოს გარემო-პირობები, რომლებშიც ცხოვრობს არასრულწლოვანი, ასევე ის გარემოებები,

[26] არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაერო-ს სტანდარტული მინიმალური წესები (ტოკიოს წესები), მიღებულია გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის № 45/110 რეზოლუციით.
[27] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით CM/Rec (2010) 1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ, წესი 55;
[28] იქვე, წესი 56;
[29] არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაერო-ს სტანდარტული მინიმალური წესები (ტოკიოს წესები), წესი 2.2;





რომლებშიც ჩადენილი იყო სამართალდარღვევა, რათა ხელი შეუწყოს გონივრული სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას[30].

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების პროცესში, კომპეტენტურმა ორგანოებმა სასჯელთან და ღონისძიებასთან მიმართებით სამუშაო გეგმა უნდა შეიმუშაონ. სამუშაო გეგმა დამხმარე ინსტრუმენტია როგორც ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოსათვის, ისე მსჯავრდებულისთვის, რათა დანახული იყოს დასახული მიზნის მიღწევის პროგრესი. გეგმა განხილული და შეთანხმებული უნდა იყოს მსჯავრდებულთან და ეფუძნებოდეს პირველადი შეფასების შედეგებს. განახლებული შეფასების შემთხვევაში გეგმა უნდა გადაისინჯოს.[31]

დაგეგმვის პროცესი უნდა ითვალისწინებდეს როგორც საზოგადოების, ასევე მსჯავრდებულისა და დაზარალებულის საჭიროებებსა და უფლებებს. დაგეგმვისას გამოყენებული პირობები უნდა იყოს პრაქტიკული, ზუსტი და მაქსიმალურად ცოტა. გეგმა მიზნად უნდა ისახავდეს მსჯავრდებულის დანაშაულებრივი ქცევის განმეორების ალბათობის შემცირებას, მისი სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობის გაზრდასა და დაზარალებულის საჭიროებების გათვალისიწინებას.

არასაპატიმრო ღონისძიებების აღსრულების პროცესი ითვალისწინებს პრობაციის ორგანოების მიერ ინტერვენციული ღონისძიებების დაგეგმვას. ინტერვენციის ღონისძიებები მიზნად უნდა ისახავდეს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. ამგვარი ღონისძიებები უნდა ეყრდნობოდეს მულტიდისციპლინურ მიდგომას, რომლის შესახებაც მსჯავრდებულები წინასწარ უნდა იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულები და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ისინი აქტიურად ჩაერთონ ასეთ ღონისძიებებში[32].

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რისკებისა და საჭიროებების შეფასებას და ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესს. „პეკინის წესების“ მიხედვით, სახელმწიფოების ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს არასრულწლოვანთა მიმართ სამართალწარმოების სისტემის ჩარჩოებში რეგულარული შეფასებითი გამოკვლევების მექანიზმის შექმნაზე და მართლმსაჯულების წარმოების სისტემის სათანადო შეფასებასა და შემდგომ სრულყოფაზე:[33] „პრობაციის ორგანოებს უნდა

[30] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ ,,პენიკის წესები“, წესი 16;
[31] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით CM/Rec (2010) 1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ, წესი 72-75;
[32] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით CM/Rec (2010) 1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ, წესი 76-79.
[33] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ ,,პეკინის წესები“, წესი 30.3.

ყავდეთ საკმარისი რაოდენობის პერსონალი, რათა ეფექტურად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა. პერსონალის თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს იმ რაოდენობის საქმე, რაც მას საშუალებას მისცემს, რომ ეფექტურად და ჰუმანურად გაუწიოს ზედამხედველობა და დახმარება პრობაციონერებს, ხოლო სადაც საჭიროა, იმუშაოს მათი ოჯახის წევრებთან და დაზარალებულებთან.“ [34]

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი იყო საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც აყალიბებენ ძირითად ჩარჩოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესის ეფექტიანად დაგეგმვისთვის. ეს ნაწილი გვაძლევს შესაძლებლობას, რომ უკეთ შევაფასოთ საქართველოში არსებული ის კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელიც ქვემოთ არის მოცემული.

## ევროპული ქვეყნების პრაქტიკა

აღნიშნულ თავში წარმოდგენილია ინფორმაცია პროგრამის - SMART  შესახებ, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში და ერთ-ერთ წარმატებულ პროგრამად ითვლება. გარდა ამისა, კვლევის ამ ნაწილში ასახულია ინფორმაცია ნიდერლანდების და გერმანიის პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში არსებული ზოგიერთი სახის პროგრამის შესახებ. ეს ინფორმაცია მოგვცემს შესაძლებლობას, ვნახოთ, თუ რა სახის პროგრამებზე კეთდება აქცენტი ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში.

### პროგრამა “SMART”

პროგრამა “SMART” საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული სარეაბილიტაციო პროგრამაა, რომელიც მსჯავრდებულთა მენტალობას, დამოკიდებულებებსა და ქცევას ცვლის და ძალადობრივი წრის გარღვევისა და განმეორებითი დანაშაულის შემცირების შესაძლებლობას იძლევა.

პროგრამა წარმატებით განხორციელდა შემდეგ ქვეყნებში: ბელგია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, დანია, ესტონეთი, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, იტალია, კოსოვო, ლიტვა, ლუქსემბურგი, მაკედონია, მონტენეგრო, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სერბეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, თურქეთი, გაერთიანებული სამეფო.[35]

უმრავლეს ქვეყნებში პროგრამას პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები  - „the Art of Living Foundation“ და „the International Association for Human Values“ ახორციელებენ. „the Art of

[34] იქვე, წესი 29;
[35] https://www.prisonsmart.eu/





Living Foundation“ 140-ზე მეტ ქვეყანაში საქმიანობს და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოხალისეობრივი ორგანიზაციაა.

პენიტენციურ დაწესებულებაში პროგრამის განხორციელების მიზნებია: უსაფრთხო, ეფექტური კლიმატის შექმნა პატიმრებისა და პერსონალისთვის; აგრესიისა და ძალადობის შემცირება; კონფლიქტების რაოდენობის შემცირება; პატიმართა შორის ურთერთგაგების დამყარება; უკეთესი და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბება პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის.

SMART არის ჰოლისტური პროგრამა, რომელიც ბენეფიციარს ინოვაციურ და ეფექტურ საშუალებებს  სთავაზობს ძალადობის, აგრესიის შესამცირებლად, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის, ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის, მავნე ნივთიერებების მოხმარების შემცირების, პოზიტიური განწყობის შენარჩუნებისთვის, გამკლავების სტრატეგიების გასაუმჯობესებლად და ზოგადად, უკეთესი განწყობის უზრუნველსაყოფად.

სუნთქვის ტექნიკების, ფიზიკური ვარჯიშის, ცოდნისა და უნარების წვრთნის საშუალებით მსჯავრდებულები უკეთ შეიცნობენ საკუთარ თავს, თავისუფლდებიან ნეგატიური ემოციებისგან, დესტრუქციული ქცევისა და დაგროვილი სტრესისგან და საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობის აღების უნარს იძენენ. სტრესის შემცირებისა და გონების დამშვიდების, ბრაზთან გამკლავების, დეპრესიასთან ბრძოლის, დისფუნქციური ქცევის დაძლევის საშუალებით მსჯავრდებულები უფრო მოტივირებულნი არიან, რომ გააუმჯობესონ საკუთარი მდგომარეობა და უფრო მიმღებნი ხდებიან რეაბილიტაციის სხვა აქტივობების მიმართ.  გარდა ამისა, ისინი ასევე იძენენ გათავისუფლების პერიოდისთვის აუცილებელ ცხოვრებისეულ უნარებს. პროგრამაში ჩართული ინდივიდები სწავლობენ შიშთან, დანაშაულის გრძნობასთან, დეპრესიასთან, შურისძიების წყურვილსა და სასოწარკვეთის განცდასთან კონსტრუქციულ გამკლავებას.

პროგრამის თეორიული საფუძველი მონაწილეებს სთავაზობს პოზიტიურ, გაძლიერებასა და რისკების შემცირებაზე დაფუძნებულ მიდგომას და  კრიმინოლოგიურ თეორიებზე დაფუძნებულ შემდეგ მეთოდოლოგიას: **პოზიტიური ფსიქოლოგია** (ინდივიდუალური პოტენციალის გაძლიერება), **პოზიტიური კრიმინოლოგია** (დესტრუქციული ქცევისგან გათავისუფლება, ფოკუსი გამოცდილებაზე, პოზიტიურ სოციალურ და პერსონალურ ფაქტორებზე დამყარებული ინტერვენციები), **კარგი ცხოვრების მოდელი**, რომელსაც ახასიათებს *ინდივიდუალური ფაქტორები* (პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა, ასერტულობა, პოზიტიური ხედვა, ემპათია, იუმორის გრძნობა და ა.შ), *ურთიერთობითი ფაქტორები* (შესაბამისი ემოციური ექსპრესია, სოციალური კომპეტენცია, როლური მოდელის არსებობა, მნიშვნელოვანი კავშირები), *კულტურული ფაქტორები* (სხვადასხვა იდეოლოგიებისა და რწმენის მიმართ ტოლერანტობა, თვითგაუმჯობესება, ცხოვრებისეული ფილოსოფიის არსებობა, კულტურული და სულიერი იდენტიფიკაცია).

პროგრამის მიზანია სტრესისგან და ძალადობისგან თავისუფალი საზოგადოების შექმნა. პროგრამა მსჯავრდებულებს სხვა კუთხითაც განიხილავს. SMART-ის შემქმნელები მიიჩნევენ, რომ მსჯავრდებული, გარკვეული თვალსაზრისით, საკუთარი შინაგანი მდგომარეობის მსხვერპლია: ადამიანები ხშირად დანაშაულს სჩადიან ისეთი ემოციების ფონზე, როგორიც არის: სიძულვილი, შური, ბრაზი, იმედგაცრუება და სიხარბე. ამ ემოციებთან გამკლავების უნარი ბევრ მათგანს დამოუკიდებლად არ აქვს.

ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა ემოციურად, მენტალურად და ფიზიკურად საკმაოდ რთული პერიოდია, ხშირად კიდევ უფრო იზრდება ძალადობრივი ტენდენციები და ისეთი ნეგატიური ემოციები, როგორიცაა: შფოთვა, შიში და სასოწარკვეთა. შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელთა მთავარ მიზანს ემოციური მდგომარეობის მოგვარების გზით, დანაშაულის სიღრმისეულ გამომწვევ მიზეზებზე მუშაობა წარმოადგენდა.

## ნიდერლანდები

ნიდერლანდებში არასრულწლოვანთა სადამსჯელო დაწესებულებები სარეაბილიტაციო დაწესებულებებად ტრანსფორმირდა. ამ ქვეყანაში საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელთა მიზანი არასრულწლოვნების საზოგადოებაში ინტეგრაციაა. სარეაბილიტაციო პროგრამები ძირითადად ხორციელდება "Bureau HALT" - ის მიერ. არასაპატიმრო სასჯელის დროს ხორციელდება ორი პროგრამა: HALT და STOP. საპატიმრო დაწესებულებებში მიმდინარეობს სხვადასხვა სახის პროგრამები, რომელთა მეთოდოლოგიაც არასრულწლოვნის ფიზიკური, ემოციური და მენტალური განვითარების ხელშეწყობას ეფუძნება.

ჩადენილი ქმედების სიმძიმიდან გამომდინარე, შესაძლოა, არასრულწლოვანს შეეფარდოს არასაპატიმრო სასჯელი, თუმცა, საპატიმრო სასჯელის პირობებშიც კი, ის, შესაძლოა, სარეაბილიტაციო პროგრამაში გადაამისამართონ. ერთ-ერთი ასეთი პროგრამაა „Kwartaalkursus", რომელიც 3-თვიანი ინტენსიური კურსია და პირველად ამსტერდამში 1986 წელს ჩატარდა. ამ პროგრამაში ხვდებიან ის არასრულწლოვნები, რომლებმაც მძიმე დანაშაული (შეიარაღებული ყაჩაღობა, განმეორებითი ძარცვა, ადამიანების მიმართ ძალადობა და ა.შ.) ჩაიდინეს. კურსის მიზანია, რომ არასრულწლოვან პატიმრებს რეინტეგრაციის შესაძლებლობა მისცეს. შესაბამისად, ამ პროგრამის ბენეფიციარი არასრულწლოვნები ჩართულნი უნდა იყვნენ ისეთ აქტივობებში, როგორიცაა უნარებისა და პროფესიული განვითარების კურსები, სპორტული აქტივობები და ჯგუფური მუშაობა.

ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი პირები ხშირად გადიან სავალდებულო ფსიქიატრიულ მკურნალობასაც, რაც სარეაბილიტაციო პროცესის ნაწილია. კლინიკაში, სადაც ფსიქიატრიული მკურნალობის კურსს გადიან, გზავნიან მხოლოდ იმ არასრულწლოვან მსჯავრდებულებს, რომელთაც მძიმე დანაშაული ჩაიდინეს და რომელებსაც ამავდროულად აქვთ ფსიქიკური პრობლემები. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შემთხვევაში,





მათ, შესაძლოა, დაწესებულების დროებით დატოვების უფლება მიეცეთ. დაწესებულების გარეთ გასვლის დრო, შეიძლება, ნელ-ნელა გაიზარდოს. პირველ ეტაპზე, მსჯავრდებული კლინიკიდან გადის თერაპევტის თანხლებით, შემდეგ ეტაპებზე კი, თუ ექიმის დასკვნა იქნება, დაწესებულების დატოვება შეიძლება მოხდეს ესკორტის თანხლების გარეშეც. პაციენტები, რომლებიც იტარებენ მკურნალობას და ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, შესაძლოა, ამ ტიპის დაწესებულებიდან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე 1 ან 2 წელიწადში გათავისუფლდნენ.

კიდევ ერთი პროგრამა, რომელიც ნიდერლანდების პენიტენციურ სისტემაში ხორციელდება, არის NPAP. ამ პროგრამის ძირითად სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნებიან ის არასრულწლოვნები, რომლებმაც ჰოლანდიის პენიტენციურ სისტემაში გარკვეული დრო გაატარეს. ეს პროგრამა 2007 წელს შეიქმნა. ის ერთ-ერთ საუკეთესო ბიჰევიორისტულ ინტერვენციად აღიარეს. პროგრამა მუშაობს 16-24 წლამდე ასაკის მძიმე დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვნებზე და მათ ინდივიდუალიზებული ბიჰევიორული პროგრამებით საზოგადოებაში რეინტეგრაციას უიოლებს. პროგრამა გამორჩეულია იმითაც, რომ ის არის ძალიან ინტენსიური, დინამიური და მიზნად ისახავს არასრულწლოვნის რეინტეგრაციას სკოლაში, ოჯახში, სამუშაო ადგილზე და სამეზობლოში.

პროგრამა იყენებს ისეთ ინტერვენციებს, როგორიცაა: კოორდინირებული ქეის-მენეჯმენტი, მოტივაციური ინტერვიუ და კოგნიტურ-ბიჰევიორისტული ინტერვენციები. ყველა ეს მეთოდი არასრულწლოვანს პრობლემების გადაჭრაში ეხმარება. პროგრამა 9 თვის განმავლობაში გრძელდება. ის გათავისუფლებამდე 3 თვით ადრე იწყება და მიზნად ისახავს ციხის გარემოდან არასრულწლოვნის ჩვეულებრივ, სოციალურ ცხოვრებაში უმტკივნეულოდ დაბრუნების ხელშეწყობას.

შემდეგი 6 თვიდან 3 ინტენსიურ მუშაობას ეთმობა, ბოლო, დარჩენილი 3 თვე კი შემდგომ ზედამხედველობას (follow up). პროგრამას ახალგაზრდული ზრუნვის მუშაკი ახორციელებს. მუშაკსა და არასრულწლოვანს შორის ურთიერთობა პროგრამით არ არის შემოფარგლული: მუშაკი ახალგაზრდასთან ურთიერთობას და მის დახმარებას პროგრამის ფარგლებს გარეთაც აგრძელებს.

NPAP მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროგრამაა, რომელიც როგორც თეორიული მიდგომების, ასევე ემპირიული კვლევების მიგნებების საფუძველზე შეიქმნა. შესაბამისად, ის მულტიმიზნობრივ, საზოგადოებაზე დაფუძნებულ და არასრულწლოვან დამნაშავეზე ორიენტირებულ მიდგომას გვთავაზობს, რომლის მთავარი მიზანიც მსჯავრდებულისთვის რეინტეგრაციის პროცესის გამარტივებაა.

გარდა ამისა, მოქმედებს სპეციალური სარეაბილიტაციო პროგრამა - „Youturn". ამ პროგრამის მთავარი მიზანია რეციდივიზმის - განმეორებითი დანაშაულის პრევენცია,

არასრულწლოვნების ქცევითი აშლილობების გამოსწორება და ცხოვრებისეული უნარების გაუმჯობესების გზით მათი საზოგადოებაში დაბრუნებისთვის მომზადება.

Youturn-ზე ორიენტირებული ყველა სარეაბილიტაციო პროგრამის ფოკუსი არის განვითარებაზე, ფიზიკურ და მენტალურ კეთილდღეობაზე. პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრისას არასრულწლოვნებს უტარდებათ სკრინინგ-ტესტი. 3 კვირის შემდეგ ტესტი მეორდება. ტესტებზე დაყრდნობით დგება გეგმა. არასრულწლოვნებს ყოველკვირეულად უტარდებათ ქოუჩინგ-სესიები, სადაც გეგმის შესრულების პროგრესი ფასდება.

არსებობს ასევე გათავისუფლებისთვის მომზადების შესაძლებლობაც, რომლის ფარგლებშიც არასრულწლოვნები სპეციალიზებულ პროგრამაში ერთვებიან. პროგრამა 26-საათიანია. ეს დრო არასრულწლოვანმა სკოლაში უნდა გაატაროს, მონაწილეობა მიიღოს რაიმე ტრენინგში ან იმუშაოს. არასრულწლოვნებს ჰყავთ პირადი მრჩევლები, რომლებიც მათ გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის დასრულების შემდეგაც ეხმარებიან.

ნიდერლანდების პრობაციის სამსახურს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაში. სანქციების ეფექტურად აღსრულება ამცირებს რეციდივიზმის რისკს და ამარტივებს არასრულწლოვნის რეაბილიტაციას. შესაბამისად, პრობაციის სამსახური დაახლოებით 273 პროგრამას და სასწავლო კურსს ახორციელებს. ნიდერლანდების პრობაციის სამსახურს აქტიური როლი აკისრია მთელი მართლმსაჯულების პროცესში - დაპატიმრებიდან სასჯელის აღსრულებამდე. ის აფასებს რეციდივიზმის რისკს, ბიჰევიორული ცვლილებების მოტივაციის დონეს და პროგრამების უკუკავშირს. გარდა ამისა, ავლენს იმ კრიმინოგენურ ფაქტორებს, რომელიც არასრულწლოვანს დანაშაულისკენ უბიძგებს. შესაბამისად, პრობაციის სამსახური ამზადებს შეფასების ანგარიშს, საჭიროა თუ არა ისეთი სხვა აქტივობების განხორციელება, როგორიცაა: ბიჰევიორისტული ინტერვენცია, ზედამხედველობა, სუპერვიზია და ა.შ.

პრობაციის სამსახური იყენებს შემდეგი ტიპის პროგრამებს: გოლდშტეინის ტრენინგი, აგრესიის რეგულაციის ტრენინგი, ტრენინგი აგრესიის კონტროლის შესახებ, ოჯახური ძალადობის შესახებ სწავლება, აგრესიული დანაშაულების პრევენცია, სექსუალური დანაშაულების პრევენცია, დასაქმების მოტივაციის ტრენინგი, ტრენინგი ცხოვრების წესის შესახებ, ნარკოდამოკიდებულებისა და ალკოჰოლის პრევენცია. ცხოვრებასთან დაკავშირებული პროგრამები: ტრენინგი საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან, ფულთან და ვალებთან დაკავშირებით და კურსი ბიუჯეტირებაზე. პრობაციის სამსახურს შეუძლია ტრენინგის ციხეში ჩატარებაც. ყველა პროგრამის მიზანია იმ კრიმინოგენური ფაქტორების აღმოფხვრა, რომელსაც განმეორებითი დანაშაულის ჩადენის გამოწვევა შეუძლია. ზემოთ ჩამოთვლილ ყველა პროგრამას მინიმუმ 10 საათი ეთმობა. ზოგიერთი პროგრამა, შესაძლოა,





უფრო დიდი ხნითაც გაგრძელდეს. წინასაპროგრამო შეფასების შემდეგ, შესაძლოა, არასრულწლოვნის ჩართვა ერთზე მეტ პროგრამაში გადაწყდეს.[36]

## გერმანია

***გერმანიის პენიტენციური სისტემის ზოგადი მიმოხილვა და კონტექსტი.*** გერმანიის სისტემის მიმოხილვისას აქცენტი მსჯავრდებულთა სარებილიტაციო პროცესზე კეთდება. არასრულწლოვნების მიმართ მიდგომები ცალკე არ არის გამოყოფილი. პროცესი, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი, ეხება როგორც სრულწლოვან, ისე არასრულწლოვან მსჯავრდებულებს.

გერმანიის პენიტენციური სისტემა ყურადღებას ამახვილებს რეაბილიტაციაზე, რომელიც გაწერილია ციხის აქტის კანონში. ხსენებული აქტის მიხედვით, "პატიმრობის ერთადერთი მიზანია, შესაძლებლობა მისცეს პატიმრებს, გათავისუფლების შემდეგ იცხოვრონ სოციალური პასუხისმგებლობით სავსე და დანაშაულებრივი ქმედებისგან თავისუფალი ცხოვრებით, რაც თავის მხრივ მოითხოვს, რომ ციხის ცხოვრება მაქსიმალურად ჰგავდეს საზოგადოებრივ ცხოვრებას და მან უზრუნველყოს მსჯავრდებულის საზოგადოებაში რეინტეგრაცია." ( Subramanian& Shames, 2013).

მთლიანობაში, გერმანიის ციხის მანდატი პრიორიტეტს დანაშაულისგან თავისუფალი ცხოვრებისთვის მომზადებას ანიჭებს (Chammah, 2015). დამერი (1996) აღნიშნავს, რომ გერმანიის ციხეებში რეაბილიტაციის ხელშეწყობის სამი პრინციპი არსებობს: უნიკალური გარემო პირობები (მაგ.: ფიზიკური ადგილმდებარეობა და სტრუქტურული დიზაინი), დიდძალი სამუშაო და ტრენინგ-პროგრამები და საზოგადოებრივი რეინტეგრაციის ხელშემწყობი ეტაპობრივი პროგრამების ხშირი გამოყენება (საოჯახო პაემნებიდან ნაწილობრივ გათავისუფლებამდე). გერმანიაში ციხის თანამშრომლები პატიმართან ურთიერთობის საკითხებში სპეციალურ მომზადებას გადიან. ასეთი მომზადება მათ ეხმარებათ, რომ ჩაწვდნენ დანაშაულებრივი ქმედების საფუძველს და მათი ქცევები მიიღონ არა უპატივცემულობის გამოხატულებად, არამედ სავარაუდო გარემო სიმპტომებად.

***სასჯელის დანიშვნა გერმანიის ციხეებში.*** როგორც წესი, გერმანული სასამართლო ერთ წლამდე პატიმრობის გამოყენების ნაცვლად დამნაშავისთვის მკაცრი ტიპის პრობაციის დაწესებას ითხოვს. 2006 წელს, პატიმართა 75%-ს სწორედ ასეთი განაჩენი გამოუტანეს. (Subramanian& Shames, 2013). კიდევ ერთი საშუალება, რითიც გერმანია პატიმრობის მაჩვენებელს ამცირებს, დღიური ჯარიმებია: ჯარიმის ერთეული ამ შემთხვევაში დღეების რაოდენობაა (ერთი ჯარიმის ერთეული = პატიმრობის ერთი დღე) და ის დამოკიდებულია

[36] იქვე,

პატიმრის შემოსავალზე. 2010 წელს, ჯარიმების წილად მოდიოდა მთლიანი სასჯელების 79%.

***მედიაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების პროექტი ციხეში.*** მედიაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების პროექტი (MEREPS) ინტერდისციპლინარული და საერთაშორისო პროექტია, რომელიც გერმანიის, უნგრეთისა და გაერთიანებული სამეფოს ერთობლივი ძალისხმევით, აღდგენითი მართლმსაჯულების საუკეთესო გამოცდილებას ავლენს და პატიმრების წარმატებული რეინტეგრაციის მიზნით ხელს უწყობს ამ პრაქტიკის გაზიარებას.

აღდგენითი მართლმსაჯულება, როგორც რეაბილიტაციის ფორმა, მედიაციის პრაქტიკაა, რომელიც ძირითად აქცენტს მსხვერპლ(ებ)ის პატიმართან დაკავშირებაზე აკეთებს და მათ შორის არსებულ კონფლიქტს მშვიდობიანი გზით აგვარებს. პროექტი ციხეში ხორციელდება. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მაშინ, როდესაც, სხვა საპატიმრო სასჯელების დანიშვნის მთავარი მიზანი პირის მიერ წარსულში ჩადენილი ქმედების გამო დასჯაა, აღდგენითი მართლმსაჯულება აქცენტს მსხვერპლ(ებ)ისა და დამნაშავისთვის უკეთესი მომავლის შექმნაზე აკეთებს. (Barabas et al., 2012). იდეალურ შემთხვევაში, დანაშაულის მსხვერპლთა მხარდაჭერისა და დამნაშავის მიერ პასუხისმგებლობის აღების მაჩვენებლის ზრდის, ასევე დამნაშავისთვის მის მიერ ჩადენილი ქმედების რეალური შედეგების გაცნობიერების მეშვეობით, ეს მიდგომა პატიმრობასთან შედარებით ბევრად უკეთესი შემაკავებელი საშუალებაა და მის გამოყენებას უფრო მშვიდობიანი საზოგადოებისკენ მივყავართ. (Casey & Jarman, 2011). პროგრამაში მონაწილეები სასჯელის მოხდის პერიოდში ერთვებიან, შესაბამისად, მისი განხორციელება პატიმრობის ეტაპზე ხდება.

ამ შემთხვევაში, „რა მუშაობს“ პრინციპებიდან სახეზეა სოციალური და კულტურული შესაბამისობის პრინციპი, ვინაიდან, ციხეებმა შეძლეს იმ პატიმართა მოთხოვნებზე რეაგირება, რომელთაც აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციაში ჩართვა სურდათ. პროექტის სამიზნე აუდიტორიას სერიოზული დამნაშავეები წარმოადგენდნენ. კვლევის თანახმად (Barabas et al., 2012), აღდგენით მართლმსაჯულებას საუკეთესო გავლენა და შედეგები სწორედ მძიმე დანაშაულთან შეხებაში მყოფი პირების შემთხვევაში აქვს, რაც თავის მხრივ, შედეგების შეფასების პრინციპს ეხმიანება.

**აღდგენითი კომუნები.** აღდგენითი კომუნები დანაშაულებრივი ქცევის შემცირების მიზნით არის შექმნილი და ხასიათზე ორიენტირებულ და რწმენაზე დაფუძნებულ პროგრამას წარმოადგენს. პროგრამა ხორციელდება ციხეში, პროფესიონალი პერსონალისა და მოხალისე პატიმრების მეშვეობით და ის ციხეს უფრო ფართო კომუნასთან აერთიანებს. პროგრამა იწყება პატიმრებისთვის (ხელახალი) სწავლებით, როგორ იცხოვრონ საზოგადოებაში და სრულდება მათ მიერ ციხის დროებით დატოვებითა და კომუნაში მუშაობით. პროგრამის მონაწილეებს გათავისუფლების შემდეგაც ეხმარებიან. ისინი საზოგადოებაში დასაბრუნებლად სრულ გზას გადიან. პროექტი ხორციელდება როგორც, საპატიმრო, ისე





გათავისუფლების შემდგომ ეტაპზეც. პროგრამაში ჩართულ ციხეებში, იმ ციხეებთან შედარებით, რომლებიც მასში არ მონაწილეობენ, ყოფილი პატიმრების მიერ ჩადენილი განმეორებითი დანაშაულის ბევრად დაბალი მაჩვენებელი აქვთ (აღდგენითი კომუნები, 2017).

პროგრამით გათვალისწინებული უწყვეტი მხარდაჭერა გულისხმობს, რომ წარმატებული პრევენციის პროგრამები მონაწილეთა საჭიროებების მიმართ უნდა იყოს მგრძნობიარე, რაც დამახასიათებელია ყოვლისმომცველი „რა მუშაობს“ პრინციპისთვის.

***პროგრამა - MABiS2/MABiS.NeT/ZUBILIS.*** იუსტიციის სამინისტროს დახმარებით, გერმანიის ჩრდილო რაინის შტატმა - ვესტფალიამ (NRW) ყოფილი პატიმრებისათვის განათლებისა და გადამზადების შესაძლებლობების გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით, 3-ეტაპიანი მიდგომა შეიმუშავა. პირველი ეტაპი იყო MABiS2, რომელიც 1998 წელს დაიწყო და ბაზარზე ორიენტირებულ მოსამზადებელ პროგრამას წარმოადგენდა. მეორე - MABiS.Net, ხორციელდებოდა 2002-2005 წლებში და მის ფარგლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიქმნა სააგენტოები, რომლებიც ყოფილი პატიმრების საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, MABiS2-ის ფარგლებში მოძიებულ აქტორებთან თანამშრომლობდნენ. პროგრამის მესამე ეტაპი იყო ZUBILIS, რომლის მთავარ მიზანსაც წინა ორ ეტაპზე დაწყებული საქმიანობის გაგრძელება და შრომის ბაზრის ცვალებადი საჭიროებების შესაბამისად ახალი მიდგომების შემუშავება წარმოადგენდა. სამივე პროგრამის ეფექტიანობას მოგვიანებით დეტალურად განვიხილავთ.

***Marktorientierte Ausbildungs und Beschaeftigungsintegration fuer Strafentlassene (MABiS2).*** MABiS2 (“ყოფილ მსჯავრდებულთა შრომის ბაზარზე ორიენტირებული სწავლება და ინტეგრაცია“) ორიენტირებულია სამუშაოს მაძიებელი ყოფილი პატიმრების გათავისუფლების შემდგომ დახმარებაზე.

პროგრამის მთავარი მიზანია ციხის პროფესიულ პროგრამებსა და დამსაქმებლებს შორის მდგრადი პარტნიორობის განვითარება. ამის მიღწევა შესაძლებელია სამი სვეტის საშუალებით. პირველ სვეტს მიეკუთვნება გათავისუფლების შემდგომი ქსელი, რომელიც კონსულტაციების და ინდივიდუალური დაგეგმვის საშუალებით პატიმრებისათვის პროფესიული პროგრამებისა და დასაქმების უწყვეტობას (ორიენტირით ნარკოტიკის მოხმარებასა და საცხოვრებელზე) უზრუნველყოფს. ქსელი ახდენს პრობლემების დეტალურ დოკუმენტირებას და პროგრამის მონაწილეებისთვის ქმნის მიზნობრივ საძიებო სისტემას, რომლის საშუალებითაც მათ პოტენციური დამსაქმებლები უკავშირდებიან.

მეორე სვეტი მონაწილეთა მონაცემებით აღჭურვილი კომპიუტერული ქსელია, რომლის მეშვეობითაც მხარეებს შორის ურთიერთკავშირის ეფექტიანობა იზრდება.

მესამე სვეტის მთავარი მიზანი მართლმსაჯულებასა და შრომის ბაზარს შორის თანამშრომლობის გამყარება და გერმანიის სხვადასხვა შტატებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გავრცელებაა. ციხის რეგიონული რეინტეგრაციის ღონისძიებების კოორდინაციისთვის ტარდება რეგიონული ფორუმები, რომელიც შრომის ბაზრების მოთხოვნებზეა მორგებული. გარდა ამისა, ყოფილ პატიმართა პროფესიული რეინტეგრაციის მიზნით, მზადდება ანგარიშები და პუბლიკაციები მათი კვალიფიკაციის შესახებ, რომელიც საპატიმრო დაწესებულების გარეთ ვრცელდება, შედეგების განსახილველად კი იმართება კონფერენციები, სადაც ყველა დაინტერესებული პირი მონაწილეობს (Equal ZUBILIS, n.d).

პროგრამის ფარგლებში ხდება პატიმართა საგანმანათლებლო საჭიროებების შესწავლა - მათ ეტაპობრივად ეხმარებიან დასაქმებასა და სტიგმის შემცირებაში. მონაწილეთა შესახებ გამჭვირვალე ინფორმაციის შექმნით, მათი კვალიფიკაციის ამაღლების და სწორად შერჩეულ დამსაქმებლებთან ან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით იზრდება მდგრადი დასაქმების შანსიც.

ამ კონკრეტული პროგრამის მთავარი მიზანია, რომ ყოფილ პატიმრებს გათავისუფლების შემდგომ პერიოდში (კონკრეტულად კი, მაღალი რისკის პერიოდში - გათავისუფლებიდან პირველი ექვსი თვის მანძილზე) ტრენინგების მეშვეობით სტიგმასთან გამკლავებაში დაეხმარონ: შრომის ბაზარზე ხელახალი დაბრუნებისას ბევრი ყოფილი პატიმრისთვის სტიგმა გადაულახავ პრობლემად რჩება. ეს არის სწორედ ის მთავარი ტენდენცია, რა მიმართულებითაც სხვა პროგრამებს არ უმუშავიათ.

***MABiS.NeT.*** პროექტის ეს ეტაპი ყოფილი პატიმრების განაწილების პროცესს უზრუნველყოფს. ამ მიზნით იქმნება მონაცემთა ბაზა, სადაც ციხის შიგნით თუ მის გარეთ არსებული შესაბამისი სასწავლო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია იყრის თავს. ამის შემდეგ ყოველ პატიმარს მასზე მორგებულ და მისთვის ხელმისაწვდომ სამუშაო ადგილს ან ტრენინგს (Equal ZUBILIS, n.d) ურჩევენ. პატიმრებს ასევე სთავაზობენ დახმარებას საცხოვრებლით, ფინანსურ ან სხვა საყოფაცხოვრებო დახმარებას. მეორე პროგრამა პატიმართა მხოლოდ 16-მა პროცენტმა არ დაასრულა, რაც მისი აუცილებლობისა და ეფექტურობის მაჩვენებელია (იქვე).

**Zukunft der Bildung im Strafvollzug.** ZUBILIS („პენიტენციურ სისტემაში ტრენინგებისა და განათლების მომავალი") არის პროექტი, რომელმაც ყოფილ პატიმრებში განათლებისა და სწავლების რელევანტურობა და მათი დასაქმების შანსი გაზარდა. პროგრამის საფუძველს სამი სვეტი წარმოადგენს: შრომის ბაზრისთვის მოსამზადებელი ტრენინგი (ასე პატიმრები შრომის ბაზარზე უფრო ადაპტირებულნი არიან); გათავისუფლების შემდგომი დაწესებულებები, რომლებიც პატიმართა უნარ-ჩვევებს და სხვადასხვა სამუშაო ადგილთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათ შესაბამისობას აფასებენ. გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს ორივე დაინტერესებული მხარის - შრომის ბაზრისა და სისხლის





სამართლის სისტემის თანამშრომლობის გაღრმავებას. პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო დასაქმების სააგენტოებთან თანამშრომლობა. პროგრამის დასრულებამდე შემუშავდა იუსტიციის სამინისტროს დოკუმენტი - "სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის სფეროსა და შრომის ბაზრის აქტორებს შორის ურთიერთობების შესახებ".(იქვე).

რეციდივის მაჩვენებელი იმ ყოფილ პატიმრებს შორის, რომელთაც პატიმრობის პერიოდში გაიარეს პროფესიული ტრენინგი, მაგრამ გათავისუფლების შემდეგ ვერ იშოვეს სამუშაო, არის დაახლოებით 80%. ამავე დროს იგივე მაჩვენებელი იმ ყოფილ პატიმრებს შორის, რომელთაც პატიმრობის პერიოდში გაიარეს პროფესიული ტრენინგი და გათავისუფლების შემდეგ იშოვეს სამუშაო, მხოლოდ 33 პროცენტია (Mabis.net, 2003). პროფესიული ტრენინგები, რომლებიც პატიმრებს ჩაუტარდათ როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ისე მის გარეთ, გათავისუფლების შემდეგ, იყო ძალიან სასარგებლო. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ყოფილი პატიმრის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის შემცირების მთავარი იარაღი დასაქმებაა. სახეზეა დროში სათანადოდ გაწერილი პროგრამის საჭიროებაც: აშკარად ვხედავთ, თუ რა სახით იყო პროგრამაში გათვალისწინებული გათავისუფლებული პატიმრების გრძელვადიანი საჭიროებები, კერძოდ, სტაბილური სამსახური.

ამ დროისთვის პროგრამა დასრულებულია. ის წარმატებულად შეფასდა. ბოლო ორ წელიწადში მონაწილეთა 72-მა პროცენტმა დაასრულა პროგრამა. გარდა ამისა, 4.000 პატიმრიდან 50% სხვადასხვა სამუშაო ადგილზე წარმატებით განაწილდა, მათი 80% - კი სტაბილურად დასაქმდა (Equal ZUBILIS, n.d).

ამ სამი ქვე-პროგრამის წარმატება გახდა საერთო პროექტის წარმატების მთავარი საწინდარი: ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდა საშუალება, რომ ემუშავა ერთი და იგივე ტემპით, ყოველი ეტაპის ბოლოს კი, მომდევნო საფეხურზე გადასვლამდე, მიღებული შედეგები შეეჯამებინათ (Equal ZUBILIS, n.d). გარდა ამისა, პროგრამის სამ ქვე-პროექტად დაშლა თანხვედრაშია სწავლების სხვადასხვა მეთოდებისა და სათანადო დოზირების პრინციპებთან. [37]

[37] ციხის სარეაბილიტაციო პროგრამების საუკეთესო პრაქტიკა ნიდერლანდებში, გერმანიასა და ლიტვაში MAINline-ის ანგარიში "თანადგომისთვის" ჰეილი მიურეი, მეცნიერებათა მაგისტრი, 2017 წელი.

# ადგილობრივი კანონმდებლობა და პრაქტიკა

## კვლევების/ანგარიშების მეორადი ანალიზი

პრაქტიკის ანალიზის მოცულობითი ნაწილი სხვადასხვა კვლევების/ანგარიშების მეორად ანალიზზეა დაფუძნებული. სხვადასხვა სახის კვლევები/ანგარიშები ეხება როგორც სრულწლოვან, ისე არასრულწლოვან პატიმართა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესს, როგორც პენიტენციურ სისტემაში, ისე პენიტენციური სისტემის მიღმა.

ერთ-ერთი სამაგიდე კვლევა,[38] რომელიც პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე საგანამანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესს ეხება, 2018 წელს, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და არასამთავრობო ორგანიზაციის - „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ მიერ „ციხის საერთაშორისო რეფორმასთან“ თანამშრომლობით ჩატარდა.

კვლევამ გამოავლინა მთელი რიგი ხარვეზები საკანონმდებლო დონეზე, მათ შორის: პროფესიული სწავლების ხელმისაწვდომობის, ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესის, ადამიანური რესურსების ნაკლებობის, სერვისების ხელმისაწვდომობის, სერვისების მდგრადობისა და ხარისხის კონტროლის, უწყებათაშორისი თანამშრომლობის, ინფრასტრუქტურული საკითხების, ბენეფიციართა დაბალი მოტივაციისა და კრიმინალური სუბკულტურის მიმართულებით. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა მიგნებები და გაიცა რეკომენდაციები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება პენიტენციურ სისტემაში მყოფ არასრულწლოვნებს.

ერთ-ერთი გამოწვევა, რომელიც კვლევამ გამოავლინა, სერვისების სიმცირეს ეხებოდა. თუმცა, ამავე კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სერვისების დეფიციტი ნაკლებად ეხებოდა N11 დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებს, რასაც ვერ ვიტყვით N2 და N8 დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვან ბრალდებულებზე/მსჯავრდებულებზე. მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვან პატიმრებს უფრო მეტად ჰქონდათ სერვისებზე ხელმისაწვდომობა, კვლევამ გამოავლინა, რომ სერვისების ხარისხის კონტროლის სისტემასთან დაკავშირებით იყო ხარვეზები.

არ არის ჩამოყალიბებული ხელმისაწვდომი სერვისების ერთიანი მონაცემები. უნდა შემუშავდეს ბენეფიციართა სერვისებში ჩართვის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზა,

[38] პენიტენციურ სისტემაში საგანამანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის კვლევა, ანტონ ქელბაქიანი (2018), კვლევა განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებენ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმა“, ააიპ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“, არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“. https://www.rivg.ge/media/1001537/2019/03/04/442648aabd5aa3402a620b8e92775844.pdf





რომელიც ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი სამთავრობო უწყებებისა და სერვისის მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რაც ადამიანური და მატერიალური რესურსების დაზოგვასა და რეაბილიტაციის პროცესის უწყვეტობას უზრუნველყოფს.

დაბალია ბენეფიციართა მოტივაციაც, რაც კრიმინალურ სუბკულტურასთან კავშირით არის გამოწვეული. გამოიკვეთა კრიმინალური სუბკულტურის გავლენა მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესზეც. ამ ხარვეზზე მიუთითებს სხვა არაერთი კვლევა/ანგარიშიც[39]. აღნიშნული ხარვეზი, შესაძლოა, ისეთივე დოზით არ არის დამახასიათებელი N11 დაწესებულებისთვის (მცირე ზომის გამო). თუმცა, ამგვარი რისკი ამ დაწესებულებაშიც არსებობს, რასაც დიდწილად განაპირობებს ის ფაქტი, რომ არასრულწლოვნების დიდი ნაწილი სრულწლოვანთა დაწესებულებაში გადადის. უფრო დიდი რისკი იკვეთება N2 და N8 დაწესებულებებთან მიმართებაში, სადაც არასრულწლოვნები სრულწლოვნებისგან მხოლოდ ფორმალურად არიან განცალკევებულნი.

საგანმანათლებლო-სარებილიტაციო პროცესის ეფექტიანად ორგანიზებას ხელს უშლის პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურული ხარვეზები. ამავე კვლევით ცხადი გახდა, რომ სხვა დაწესებულებებთან შედარებით, ნაკლებად პრობლემურია (თუმცა, რეკომენდებულია გაუმჯობესება) ეს საკითხი N11 დაწესებულებაში. ეს პრობლემა გამოწვევას წარმოადგენს N2 და N8 დაწესებულებებში, სადაც არასრულწლოვნებიც არიან განთავსებულნი. ინფრასქტრუქტურული პრობლემების გამო, მათ არ აქვთ თანაბარი ხელმისაწვდომობა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესზე და სპორტულ, რეკრეაციულ და სხვა სახის აქტივობებზე.

რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მსჯავრდებულთა გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა - „გარდამავალი მენეჯმენტი“. ამ კუთხით კვლევა[40] ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „გაუმჯობესებული შესაძლებლობები - პატიმრების, ყოფილი პატიმრებისა და პრობაციონერების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისათვის“ ფარგლებში. კვლევის მეშვეობით შესწავლილ იქნა პატიმრის გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესში როგორც პენიტენციური, ისე პრობაციის სისტემისა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის ჩართულობა და პროცესში არსებული გამოწვევები და სირთულეები. კვლევამ გამოავლინა ანალოგიური ხასიათის პრობლემები, რომლებიც უკავშირდება სერვისების სიმცირეს, ხარისხის კონტროლის სისტემას (როგორც პენიტენციურ სისტემაში, ასევე პრობაციის ეროვნულ სააგენტოში და დანაშაულის პრევენციის ცენტრში), კრიმინალურ სუბკულტურას, ინფრასტრუქტურას და სხვა.

[39] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები; წამების წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომიტეტის ანგარიში 2018 წლის ბოლოს საქართველოში განხორიელებულ ვიზიტთან დაკავშირებით.
[40] კვლევა განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „გაუმჯობესებული შესაძლებლობები - პატიმრების, ყოფილი პატიმრების და პრობაციონერების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისათვის“ ფარგლებში.

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი ხორციელდებოდა მხოლოდ რამდენიმე დაწესებულებაში. ამ დაწესებულებებს შორის იყო N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო და N5 ქალთა დაწესებულება (სადაც თეორიულად შესაძლებელია, რომ განთავსებულნი იყვნენ არასრულწლოვანი გოგონები).

N11 დაწესებულება გარკვეულწილად ჩართული იყო მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში და ამისთვის ის პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან და დანაშაულის პრევენციის ცენტრთან თანამშრომლობდა. თუმცა, ეს პროცესი პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან მიმართებაში მიბმული იყო, ძირითადად, ვადაზე ადრე გათავისუფლების სისტემასთან, დანაშაულის პრევენციის ცენტრის ჩართულობა კი გათავისუფლებამდე 3 თვით ადრე, მსჯავრდებულისთვის დანაშაულის პრევენციის ცენტრში არსებული სერვისების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლებოდა. ამ პროცესში ფაქტობრივად არ იყვნენ ჩართულები N2 და N8 დაწესებულებაში განთავსებული არასრულწლოვნები. ასევე, ის არასრულწლოვნები, რომლებიც სრულწლოვანების ასაკის მიღწევის გამო სხვა დაწესებულებაში გადაიყვანეს და იქიდან გაათავისუფლეს. გამონაკლისს წარმოადგენდა N16 დაწესებულება, სადაც გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესი ხარვეზებით, მაგრამ, მაინც მიმდინარეობდა. კვლევის ფარგლებში შემუშავდა რეკომენდაციები.[41]

მართლმსაჯულების სფეროში, 2017-2019 წლებში მიმდინარე პროექტების ფარგლებში, 10-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ (არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“; არასამთავრობო ორგანიზაცია „თანხმობა“; საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“; ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის - RIVG; არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომა“; დემოკრატიის ინსტიტუტი; წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი - GCRT; ციხის საერთაშორისო რეფორმა - PRI; სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი - CSRDG) შეიმუშავა რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც ცალ-ცალკე აღნიშნული ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებს ეფუძნება და რომელიც მცირე მოდიფიკაციით აერთიანებს კვლევების ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებს.

რეკომენდაციების დიდი ნაწილი პირდაპირ უკავშირდება მსჯავრდებულთა, პრობაციონერთა და ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის საკითხებს, მათ შორის, არასრულწლოვნებთან მიმართებაშიც. ერთიანი რეკომენდაციები ეხება ისეთი სახის ხარვეზებს, როგორიც არის - სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა (მთლიანად სისტემაში); ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა; გარდამავალი მენეჯმენტის პროცესში არსებული საკანონმდებლო და სხვა სახის ხარვეზები; პენიტენციურ სისტემაში ინფრასტრუქტურასთან

41 კვლევა განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „გაუმჯობესებული შესაძლებლობები - პატიმრების, ყოფილი პატიმრების და პრობაციონერების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისათვის“.





და კრიმინალურ სუბკულტურასთან დაკავშირებული გამოწვევები. ამის გამო, ანალოგიური ხასიათის რეკომენდაციებს აღარ შევეხებით. თუმცა, პაკეტში ასახული იყო ისეთი რეკომენდაციებიც, რომლებსაც ზემოთ მომოხილული ორი კვლევა არ ეხებოდა.

ადგილობრივი კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ მიზანს, რასაც უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვნისთვის დაკისრებული სასჯელი - „არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება“. აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერი ხაზს უსვამს, რომ არასრულწლოვანი მსჯავრდებულის შემთხვევაში პრიორიტეტია არა მარლთლმსაჯულების ინტერესი - სამართლიანობის აღდგენა, როგორც ეს არის განსაზღვრული სრულწლოვან პირებთან მიმართებაში, არამედ ბავშვის საუკეთესო ინტერესი. აქედან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მარლთლმსაჯულების კოდექსის უმთავრეს პრინციპს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა წარმოადგენს.[42]

## პატიმრობა/თავისუფლების აღკვეთა

არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა, თავსდება არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო ან N5 ქალთა (გოგონები) დაწესებულებაში.[43] არასრულწლოვანი ბრალდებულები კი N2, N8 და N5 (არასრულწლოვან გოგონებთან მიმართებაში) დაწესებულებებში გადაჰყავთ.

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესი ქვეყანაში არსებულ განათლების სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს საშუალება უნდა ჰქონდეს, მიიღოს სრული ზოგადი განათლება. მათთვის დაწყებითი განათლებისა და საბაზო განათლების მიცემა სავალდებულოა. გარდა ამისა, არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროფესიული განათლების ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც სარეაბილიტაციო დაწესებულების დატოვების შემდეგ ხელს შეუწყობს მის დასაქმებას. ასევე, არასრულწლოვანი მსჯავრდებული სარგებლობს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით. [44]

არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს სწავლისგან თავისუფალ დროს აქვს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების უფლება. დასაშვებია არასრულწლოვანი

42 არასრულწლოვანთა მარლთმსაჯულების კოდექსი, მ.4.
43 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.79.
44 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.84

მსჯავრდებულის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების გარეთ მუშაობაც. არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული შეიძლება ასრულებდეს მხოლოდ ისეთ სამუშაოს, რომელიც ხელს შეუწყობს გათავისუფლების შემდეგ მის პროფესიულ მომზადებას და დასაქმებას, აგრეთვე, ხელს არ შეუშლის მის მიერ განათლების მიღებას. თუმცა, დაუშვებელია არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმება.[45]

არასრულწლოვან მსჯავრდებულს აქვს ოჯახთან და გარე სამყაროსთან ხშირი და რეგულარული კონტაქტის უფლება. კერძოდ, მას უფლება აქვს ისარგებლოს ხანმოკლე, ხანგრძლივი და ვიდეო-პაემნის უფლებით; მიიღოს წერილები, ამანათები და გზავნილები;[46] ისარგებლოს ტელევიზორით და რადიომიმღებით, ასევე ისარგებლოს სატელეფონო საუბრის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით.[47]

პენიტენციურ დაწესებულებებში საგანმანათლებლო-სარებილიტაციო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელია სოციალური განყოფილება, რომლის მთავარი ფუნქციაა[48]:

- მსჯავრდებულის ბიო-ფსიქოსოციალური შეფასება, ინდივიდუალური გეგმის შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი;
- ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის მიზნით ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირება;
- მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით, საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელშემწყობი პროგრამების დანერგვა/განხორციელება;
- გათავისუფლებისთვის მზადების ხელშემწყობი პროგრამების დანერგვა და განხორციელება;
- მსჯავრდებულთა სპორტული, რელიგიური, კულტურული და სხვა სარეაბილიტაციო ღონისძიებების ორგანიზება;
- მსჯავრდებულის სარეაბილიტაციო პროცესის ხელშეწყობის მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, დანაშაულის პრევენციის ცენტრთან და სხვა შესაბამის სამსახურებთან ინფორმაციის გაცვლა და კოორდინაცია;

[45] იქვე, მ.85.
[46] იქვე, მ.87
[47] იქვე, მ.88
[48] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №118 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №11 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, მ.10



- მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება, სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობა და მათთან თანამშრომლობის მიზნით წინადადებების მომზადება;
- მსჯავრდებულთა პროფესიული განათლების ორგანიზება;
- მსჯავრდებულთათვის საბიბლიოთეკო მომსახურების გაწევა;
- მსჯავრდებულის დასაქმების ხელშეწყობა;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან მიღებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, 2014-2019 წლებში პენიტენციურ დაწესებულებებში არასრულწლოვან ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის განხორციელდა სხვადასხვა საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო, სპორტული და სხვა სახის ღონისძიებები. წლების მიხედვით ზოგიერთი სახის ღონისძიებების (განსაკუთრებით ბრალდებულებზე ორიენტირებული) რაოდენობა იკლებს. ეს ფაქტი, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს არასრულწლოვანი პატიმრების რაოდენობის კლებასთან (მაგალითად, 2014 წლის დასაწყისში იყო დაახლოებით 100-მდე არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული, ხოლო 2019 წლის ბოლოს - 50-მდე). აქტივობების უმეტესობა ტარდებოდა N11 დაწესებულებაში, რაც ლოგიკურია, რადგან არასრულწლოვანი მსჯავრდებულების უმრავლესობა სწორედ ამ დაწესებულებაში გადაჰყავთ და დაწესებულების ინფრასტრუქტურაც იძლევა ამის შესაძლებლობას. თუმცა, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მიწოდებული მომსახურებების/სერვისების ხარისხი ვერ შეფასდება.

*სარეაბილიტაციო პროგრამების ჩამონათვალი პენიტენციური დაწესებულებებისა და არასრულწლოვანი ბრალდებულების/მსჯავრდებულების რაოდენობის მიხედვით.*[49]

| 2014 წელი | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის ტიპი | N2 | N5 | N8 | N11 |
| სახელობო/პროფესიული სწავლება | 28 | 304 | 4 | 85 |
| რეკრეაციული პროგრამა | 12 | 16 | 0 | 49 |
| სატრენინგო/საგანმანათლებლო პროგრამა | 105 | 70 | 0 | 18 |
| კომპიუტერული სასწავლო პროგრამა | 26 | 33 | 21 | 25 |
| ფსიქო-სოციალური პროგრამები | 149 | 132 | 99 | 103 |
| ფსიქო-სოციალური თერაპიები | 27 | 0 | 0 | 45 |
| ზოგადი განათლება | 29 | 0 | 88 | 75 |
| ინტელექტუალური/შემეცნებითი პროგრამები/შეხვედრები | 81 | 0 | 35 | 21 |
| კონკურსები | 10 | 24 | 19 | 0 |
| სპორტული ღონისძიება | 6 | 2 | 2 | 18 |
| კულტურული ღონისძიება | 33 | 22 | 2 | 59 |
| საზოგადოებასთან ურთიერთობის მხარდამჭერი პროგრამა | 3 | 3 | 2 | 2 |

| 2015 წელი | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის ტიპი | N2 | N5 | N8 | N11 |
| სახელობო/პროფესიული სწავლება | 6 | 78 | 0 | 62 |
| სატრენინგო/საგანმანათლებლო პროგრამა | 88 | 60 | 29 | 77 |
| კომპიუტერული სასწავლო პროგრამა | 6 | 38 | 7 | 16 |
| ინტელექტუალური/შემეცნებითი შეხვედრები | 29 | 0 | 0 | 171 |
| ზოგადი განათლება | 10 | 0 | 11 | 53 |
| ფსიქო-სოციალური პროგრამები | 0 | 14 | 0 | 15 |
| ფსიქო-სოციალური ტრენინგები | 48 | 15 | 0 | 65 |
| არტ-თერაპია | 50 | 24 | 0 | 75 |

[49] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 06/12/2019 წლის N365709/01 წერილი.





| 2016 წელი | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის ტიპი | N2 | N5 | N8 | N11 |
| სახელობო/პროფესიული სწავლება | 0 | 0 | 0 | 20 |
| რეკრეაციული პროგრამა | 0 | 0 | 0 | 0 |
| სატრენინგო/საგანმანათლებლო პროგრამა | 0 | 0 | 0 | 54 |
| კომპიუტერული სასწავლო პროგრამა | 0 | 0 | 0 | 14 |
| ზოგადი განათლება | 12 | 12 | 0 | 44 |
| ჯგუფური ინტერვენციები/თერაპიები | 9 | 0 | 0 | 26 |
| არტ-თერაპია | 22 | 0 | 0 | 52 |
| ფსიქო-სოციალური ტრენინგები | 7 | 0 | 0 | 26 |
| ინტელექტუალური/შემეცნებითი პროგრამები/შეხვედრები | 6 | 0 | 0 | 114 |
| კონკურსები | 0 | 0 | 0 | 126 |
| თეატრალური დასი | 0 | 0 | 0 | 0 |
| სპორტული წვრთვნა | 0 | 0 | 0 | 51 |
| სპორტული ღონისძიება | 0 | 0 | 0 | 6 |
| კულტურული ღონისძიება | 0 | 1 | 0 | 207 |

| 2017 წელი | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის ტიპი | N2 | N5 | N8 | N11 |
| ფსიქო-სოციალური პროგრამები/თერაპიები | 23 | 0 | 54 | 58 |
| ფსიქო-სოციალური ტრენინგები | 15 | 0 | 75 | 38 |
| ზოგადი განათლება | 21 | 0 | 41 | 34 |
| უმაღლესი განათლება | 0 | 0 | 2 | 0 |
| ფორმალური პროფესიული განათლება | 0 | 0 | 0 | 18 |
| არაფორმალური პროფესიული განათლება | 0 | 0 | 0 | 43 |
| საგანმანათლებლო ტრენინგ-პროგრამები | 0 | 0 | 0 | 22 |
| კულტურული ღონისძიებები | 0 | 0 | 37 | 922 |
| სპორტული ღონისძიება | 0 | 0 | 0 | 197 |
| სხვა ღონისძიება | 0 | 0 | 0 | 4 |

| 2018 წელი | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის ტიპი | N2 | N5 | N8 | N11 |
| ფსიქო-სოციალური პროგრამები/თერაპიები | 27 | 0 | 54 | 58 |
| ზოგადი განათლება | 31 | 0 | 61 | 24 |
| კულტურული ღონისძიებები | 0 | 0 | 39 | 729 |
| სპორტული ღონისძიება | 0 | 0 | 28 | 258 |
| ფსიქო-სოციალური ტრენინგები | 0 | 0 | 61 | 116 |
| სხვა ღონისძიებები | 0 | 0 | 0 | 40 |
| საგანმანათლებლო ტრენინგ-პროგრამები | 0 | 0 | 0 | 23 |
| არაფორმალური პროფესიული განათლება | 0 | 0 | 0 | 8 |

| 2019 წლის იანვარი-ოქტომბერი | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის ტიპი | N2 | N5 | N8 | N11 |
| ზოგადი განათლება | 24 | 1 | 41 | 32 |
| უმაღლესი განათლება | 0 | 0 | 0 | 3 |
| ფორმალური პროფესიული განათლება | 2 | 0 | 0 | 0 |
| არაფორმალური პროფესიული განათლება | 0 | 0 | 0 | 0 |
| საგანმანათლებლო ტრენინგ პროგრამები | 24 | 0 | 27 | 50 |
| ფსიქო-სოციალური ტრენინგები | 12 | 0 | 19 | 96 |
| ფსიქო-სოციალური პროგრამები/თერაპიები | 24 | 1 | 5 | 53 |
| კულტურული ღონისძიებები | 24 | 0 | 0 | 259 |
| სხვა ღონისძიებები | 0 | 0 | 0 | 0 |
| სპორტული ღონისძიება | 24 | 0 | 0 | 113 |

სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა, როგორც წესი, საგანამანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის ორგანიზების ყველაზე ეფექტიანი გზაა. არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში (პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში) ინდივიდუალური შეფასების პროცესს არეგულირებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №132/№95/ №23 - ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ. პენიტენციურ სისტემაში არასრულწლოვანთა სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესის შესახებ ინსტრუქციას კი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №33 ამტკიცებს.





ინდივიდუალური დაგეგმვის მიზანია განმეორებითი დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ინდივიდუალური რისკისა და საჭიროების შეფასება, არასრულწლოვნის განვითარების შესაბამისი გარემოს შექმნა და შესაბამის სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა, მომავალში დანაშაულის ჩადენის ალბათობის შესამცირებლად სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა და მისი განხორციელება.

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მიზნით, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დაწესებულებაში იქმნება მულტიდისციპლინური ჯგუფი. ამ ჯგუფის შემადგენლობაში შედიან დაწესებულების სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მოსამსახურე და ექიმი. ჯგუფის საქმიანობას სოციალური მუშაკი (კოორდინატორი) ხელმძღვანელობს, რომელსაც სოციალური განყოფილების უფროსის წარდგინების საფუძველზე დაწესებულების დირექტორი ნიშნავს. კოორდინატორი მულტიდისციპლინურ გუნდთან ერთად მსჯავრდებულის ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებას ახორციელებს. შეფასების პროცესში კოორდინატორი იღებს ინფორმაციას როგორც მსჯავრდებულისა და მისი ოჯახის წევრებისგან, ისე სხვა დამატებითი წყაროებიდან და მსჯავრდებულის პირადი საქმიდან. შეფასების შემდეგ, კოორდინატორი მსჯავრდებულთან ერთად აყალიბებს ინდივიდუალურ გეგმას და გეგმით განსაზღვრული მიზნების შესრულებაზე მუშაობს.

ინდივიდუალური გეგმის განხორციელების ვადა მაქსიმუმ 12 თვეა. გეგმაში მითითებული აქტივობები უნდა ეფუძნებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესსა და გამოვლენილ საჭიროებებს. აქტივობების შერჩევისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ ღონისძიებას, რომელიც დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის ალბათობის შემცირებისა და ინდივიდისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნისკენ არის მიმართული.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან მოწოდებული იქნა ინფორმაცია ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართული არასრულწლოვანი ბრალდებულების/მსჯავრდებულების თაობაზე. ასეთი სახის სტატისტიკური ინფორმაცია არ მუშავდებოდა N8 დაწესებულებაში განთავსებულ არასრულწლოვნებთან მიმართებაში. იუსტიციის სამინისტროდან მიღებული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე, ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართული არასრულწლოვნების რაოდენობა, საანგარიშო პერიოდში არსებულ ბრალდებული/მსჯავრდებული არასრულწლოვნების რაოდენობას შეესაბამება.

2019 წლის განმავლობაში N11 დაწესებულებაში ამ პროცესში ჩართული იყო 52 მსჯავრდებული. ამ პერიოდში არსებული მსჯავრდებულების რიცხვს თუ გავითვალისწინებთ (30 მსჯავრდებულზე მეტი ერთდროულად წლის განმავლობაში დაწესებულებში არ ყოფილა), მსჯავრდებულთა ეს რაოდენობა ლოგიკურია. იგივე შეიძლება

ითქვას N5 დაწესებულებასთან დაკავშირებითაც. ცხადია, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესის ხარისხი ვერ შეფასდება.[50]




ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, N11 დაწესებულების ადმინისტრაციას მსჯავრდებულის პირადი განცხადების საფუძველზე უფლება აქვს 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ მსჯავრდებული სასჯელის მოხდის მიზნით ამავე დაწესებულებაში დატოვოს, 21 წლის ასაკის მიღწევამდე.[51] კანონი, რომელიც ასეთ შესაძლებლობს იძლევა, სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებას შეესაბამება. თუმცა, ეს ნორმა ქართულ პენიტენციურ სისტემაში გარკვეულ პრობლემასაც ქმნის: დიდი ზომის პენიტენციურ დაწესებულებებში სრულიად გასხვავებული გარემოა, მძლავრია კრიმინალური სუბკულტურის გავლენა, არ არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და სხვა დაწესებულებებში (განსაკუთრებით დიდი ზომის) გადაყვანით მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პერსპექტივა სერიოზული რისკის ქვეშ დგება.

ხარვეზებია კანონმდებლობაშიც, რაზეც გარკვეულწილად გავლენას ახდენს ჩამოყალიბებული პრაქტიკა. 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ არასრულწლოვანს აქვს უფლება, რომ N11 დაწესებულებაში დარჩეს. გადაწყვეტილებას ამის შესახებ დაწესებულების დირექტორი იღებს, თუმცა, მსჯავრდებულის განცხადების საფუძველზე. კრიმინალურ სუბკულტურაში არსებული წესების გამო, ხშირ შემთხვევაში, ასეთი შინაარსის განცხადების დაწერა, მსჯავრდებულის უსაფრთხოებისთვის, შესაძლოა, რისკის შემცველი იყოს.

[50] იქვე.
[51] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.90





კანონმის თანხმად, არასრულწლოვან მსჯავრდებულს, შესაძლოა, სასჯელის სახით მაქსიმუმ 12 წელი მიესაჯოს. ცხადია, საკანონმდებლო ჩარჩო არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ არასრულწლოვანი მსჯავრდებულები სასჯელის ვადის ამოწურვამდე N11 დაწესებულებაში დარჩნენ. კანონით დაშვებული რომ იყოს, მოზარდი დაწესებულებაში 29 წლის ასაკამდე დარჩებოდა. რადგან ასეთი შესაძლებლობა არსებობს და სხვა სახის რისკები ამ პროცესს ხელს არ უშლის, აღნიშნულ დაწესებულებაში მსჯავრდებული 21 წლამდე უნდა რჩებოდეს.

სტატისტიკური ინფორმაცის ანალიზმა აჩვენა, რომ 2014-2017 წლებში, 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, N11 დაწესებულებაში სასჯელის მოხდის მიზნით დარჩენილ მსჯავრდებულებთან შედარებით ორჯერ მეტი მსჯავრდებული სრულწლოვანთა დაწესებულებებში გადაჰყავდათ.

დადებითად უნდა შეფასდეს მსჯავრდებულების სრულწლოვანთა დაწესებულებებში გადაყვანის ტენდენციის შემცირება, განსაკუთრებით 2018-2019 წლებში, როცა ეს პროცესი მინიმუმამდეა დაყვანილი. შესაძლოა, ეს ტენდენცია პატიმრების რაოდენობის კლებასთან იყოს დაკავშირებული. 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ მსჯავრდებულის სრულწლოვანთა დაწესებულებაში გადაყვანის პრაქტიკა დღემდე გრძელდება, რაც მოზარდების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესს აზიანებს.

იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, 2014-2019 წლებში, 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, სასჯელის აღსრულების მიზნით N11 დაწესებულებაში მხოლოდ 30 მსჯავრდებული დატოვეს, სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში კი 86 მსჯავრდებული გადაიყვანეს. აქედან, 17 მსჯავრდებული N14 დაწესებულებაში გადაიყვანეს, 33 - N15 დაწესებულებაში, ხოლო 23 - N17 დაწესებულებაში.

ეს დაწესებულებები ყველაზე დიდი ზომის, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებს მიეკუთვნებიან, სადაც ყველაზე მეტად იკვეთება ის ხარვეზები, რაზეც ზემოთ მითითებულ კვლევის მიგნებებშია საუბარი. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ 2019 წლის განმავლობაში მხოლოდ 1 მსჯავრდებული გადაიყვანეს დიდი ზომის დაწესებულებაში (კერძოდ N17-ში). ასევე გაზრდილია N16 - დაბალი რისკის დაწესებულებაში მსჯავრდებულთა გადაყვანის შემთხვევები (2019 წელს 7 მსჯავრდებული გადაიყვანეს), რაც დღევანდელი მოცემულობით, პატიმრის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად ითვლება.

*18 წლის ასაკის მიღწევის გამო, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებიდან სრულწლოვანთა დაწესებულებებში გადაყვანილი მსჯავრდებულების რაოდენობა*[52]

| დაწესებულება | წლები | | | | | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | |
| N14 | 8 | 3 | 2 | 2 | 2 | 0 | 17 |
| N15 | 8 | 16 | 2 | 0 | 7 | 0 | 33 |
| N17 | 14 | 4 | 3 | 3 | 1 | 1 | 23 |
| N16 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7 | 7 |
| N8 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 |
| N6 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| **სულ** | **28** | **23** | **7** | **5** | **10** | **10** | **86** |

*2014 წლიდან 2019 წლის ოქტომბრამდე, 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ სასჯელის მოხდის მიზნით, N11 დაწესებულებაში დარჩენილ მსჯავრდებულთა რაოდენობა*[53]

| წლები | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|
| მსჯავრდებულთა რაოდენობა | 5 | 4 | 5 | 1 | 4 | 11 |
| სულ | 30 | | | | | |

## პენიტენციური დაწესებულებიდან მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესი

მსჯავრდებულთა რეინტეგრაცია საზოგადოებაში ეფექტიანი რომ იყოს, პენიტენციური დაწესებულებიდან მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესი სათანადოდ უნდა წარიმართოს. ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, გათავისუფლებამდე მინიმუმ 2 თვით ადრე, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმა უნდა მომზადდეს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ვადის დაცვა შეუძლებელია პირობით ვადამდე გათავისუფლების ან

[52] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 06/12/2019 წლის N365709/01 წერილი.
[53] იქვე.





ამნისტიის/შეწყალების აქტის გამოცემის ანდა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის გამო)[54]. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმის მოსამზადებლად მისი გათავისუფლებიდან 3 თვემდე ვადის განმავლობაში პრობაციის ეროვნული სააგენტო თანამშრომლობს დანაშაულის პრევენციის ცენტრთან და იმ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, სადაც არასრულწლოვანი ცხოვრობს ან სადაც ის აპირებს დაბრუნებას[55].

პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის ან/და დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისათვის გათვალისწინებული ვადის მოხდამდე 3 თვით ადრე, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს, დაწესებულების გარეთ ამ მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების თაობაზე[56] წერილობით მიმართოს. დაწესებულების მიმართვა უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- დაწესებულების მიმართვის საფუძველი;
- მსჯავრდებულის შესახებ ზოგადი დემოგრაფიული მონაცემები; გ) ინფორმაცია ჩადენილი დანაშაულის შესახებ;
- ინფორმაცია მსჯავრდებულის ოჯახის შესახებ;
- დაწესებულების დასახელება, სადაც მსჯავრდებული იხდის სასჯელს;
- მსჯავრდებულის დაწესებულებაში განთავსების თარიღი;
- დარჩენილი სასჯელის ვადა და სასჯელის მოხდის დასრულების თარიღი;
- სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის ან/და დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისათვის კანონით დადგენილი ვადის მოხდის თარიღი;
- დაწესებულებაში მსჯავრდებულთან მომუშავე სოციალური მუშაკის სახელი და გვარი;
- დაწესებულების საკონტაქტო მონაცემები;

[54] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.98 (7)
[55] იქვე, მ.98 (8)
[56] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №68 მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ, მ.2 (1) / საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №179 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში არასრულწლოვნის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის ფორმისა და წესის დამტკიცების შესახებ, მ.2 (1). / არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.98 (3)

- ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელზეც მსჯავრდებულის ოჯახის შეფასებისას სააგენტოს სოციალურმა მუშაკმა უნდა გაამახვილოს ყურადღება[57].

იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთასთან ერთად განსაზღვრული აქვს პირობითი მსჯავრის მოხდაც, დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია, მსჯავრდებულისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ვადის დასრულებამდე 3 თვით ადრე წერილობით მიმართოს პრობაციის შესაბამის ბიუროს (მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით), დაწესებულების გარეთ იმ მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების თაობაზე, რომელსაც თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის შემდგომ განსაზღვრული აქვს პირობითი მსჯავრი[58] (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსჯავრდებულის გათავისუფლება ხდება პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების ან სასჯელის მოხდის გადავადების გამო)[59].

ასეთი სახის შეფასება არ კეთდება იმ შემთხვევაში, როცა სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 3 თვეს არ აღემატება[60]. ასეთ დროს დაწესებულების მიმართვას თან ერთვის (არასრულწლოვანი მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შემთხვევაში) არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო ცნობა და ამონაწერი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური დაგეგმარების დოკუმენტიდან/პირადი საქმიდან, რომელშიც აღინიშნება:

- დაწესებულებიდან მსჯავრდებულის შესახებ ინფორმაციის გაცემის საფუძველი;

---

[57] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №68 მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ, მ.2 (2) / საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №179 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში არასრულწლოვნის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის ფორმისა და წესის დამტკიცების შესახებ, მ.2 (2). / არასრულწლოვანთა მარლთმსაჯულების კოდექსი, მ.98(3)

[58]საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №68 მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ, მ.2 (5) / საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №179 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში არასრულწლოვნის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის ფორმისა და წესის დამტკიცების შესახებ, მ.2 (4).

[59] პატიმრობის კოდექსი, მ.37 (ბ,ზ).

[60] არასრულწლოვანთა მარლთმსაჯულების კოდექსი, მ.98 (6).





- მსჯავრდებულის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და პირადი ნომერი;
- დაწესებულების დასახელება, სადაც მსჯავრდებული იხდის სასჯელს;
- მსჯავრდებულის დაწესებულებაში განთავსების თარიღი;
- სასჯელის მოხდის დასრულების თარიღი;
- დაწესებულებაში მსჯავრდებულთან მომუშავე სოციალური მუშაკის სახელი და გვარი;
- დაწესებულების საკონტაქტო მონაცემები;
- მსჯავრდებულისათვის დაწესებულებაში ჩატარებული სარეაბილიტაციო მომსახურებები;
- მსჯავრდებულის დამოკიდებულება დანაშაულთან მიმართებაში;
- საკუთარი თავისადმი ან/და სხვა პირისადმი ზიანის რისკის შეფასება;
- გათავისუფლების შემდგომ მსჯავრდებულის გეგმები და მოლოდინები.

დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია, პრობაციის ბიუროში (საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) გადააგზავნოს ინფორმაცია დაწესებულებიდან მსჯავრდებულის გათავისუფლებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში[61]. პენიტენციური დაწესებულებიდან პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოში მიმართვის შესვლის შემდეგ, სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს უფროსი მიმართვას გადასცემს სოციალურ მუშაკს, რომელიც ვალდებულია არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახსა და სოციალურ გარემოში არსებული რისკ-ფაქტორების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახში მინიმუმ 1 ვიზიტი განახორციელოს.

შეფასების დასრულების შემდეგ მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის დოკუმენტი შესაბამის დაწესებულებაში იგზავნება.[62] ამ შეფასებაში აქცენტი შემდეგ კომპონენტებზე კეთდება:

---

[61]საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №68 მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ, მ.2 (7,8) / საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №179 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში არასრულწლოვნის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის ფორმისა და წესის დამტკიცების შესახებ, მ.2 (5,6).

[62] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.98

- ოჯახის სოციალური გარემოს მზაობა არასრულწლოვანი მსჯავრდებულის დაბრუნების მიმართ;
- ოჯახის წევრთა დამოკიდებულება არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ;
- გათავისუფლების შემდეგ არასრულწლოვანი მსჯავრდებულის თავშესაფრის არსებობა;
- არასრულწლოვან მსჯავრდებულზე დამოკიდებული პირების საჭიროებები;
- გათავისუფლების შემდეგ არასრულწლოვანი მსჯავრდებულის და/ან მისი ოჯახის წევრების სავარაუდო შემოსავლის წყარო;
- სარეაბილიტაციო მომსახურებების რესურსები და მათი ხელმისაწვდომობა გათავისუფლების შემდეგ.[63]

იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, 2014-2019 წლებში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ზრუნვისა და კონტროლის ქვეშ 184 არასრულწლოვანი მსჯავრდებული გადავიდა. 2014 წელს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში 76 არასრულწლოვანი გადავიდა (N11 დაწესებულებიდან - 70, N2 დაწესებულებიდან - 6), ხოლო 2019 წელს - 15 (N11 დაწესებულებიდან - 8, N2 დაწესებულებიდან - 7). იმ არასრულწლოვნების შესახებ, რომლებიც N8 დაწესებულებიდან გათავისუფლდნენ, ინფორმაცია არ მოგვაწოდეს. მოწოდებული საჯარო ინფორმაციიდან ჩანს, რომ პრობაციის ეროვნულ სააგენტოში გადასულ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც მაღალი ალბათობით, ბოლო წლების განმავლობაში არასრულწლოვანი პატიმრების კლებას უკავშირდება.

*პენიტენციური დაწესებულებებიდან პრობაციის ეროვნული სააგენტოს ზრუნვისა და კონტროლის ქვეშ გადასული არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რაოდენობა.*

| დაწესებულება | წლები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
| N11 | 70 | 70 | 18 | 7 | 11 | 8 |
| N2 | 6 | 15 | 2 | 1 | 0 | 7 |
| სულ | 76 | 85 | 20 | 8 | 11 | 15 |

[63] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №68 მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ, მ.3





თვისებრივი კლევისას პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ისინი მონაწილეობენ პენიტენციური დაწესებულებიდან მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში. მათი განმარტებით, ამ ეტაპზე მათი ჩართულობა ვადაზე ადრე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოსთვის შესაბამისი შეფასების მომზადებით შემოიფარგლება. თუმცა, უწყების სამოქმედო გეგმაში გაწერილია, რომ ამ მიმართულებით უნდა შეიქმნას უფრო დახვეწილი კონცეფცია, სადაც უფრო დეტალურად იქნება გაწერილი გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესის ეტაპები: რა ეტაპზე უნდა ჩაერთონ; რა სახის აქტივობები განხორციელდება პენიტენციური სისტემის შიგნით და მის გარეთ და ა.შ. ერთ-ერთი რესპოდენტი განმარტავს:

> *„ამჟამად ჩვენ უკვე შედგენილი გვაქვს მცირე სამოქმედო გეგმა, რომელიც ბავშვის ოჯახზე ზრუნვის ელემენტებს მოიცავს. გეგმაში არის გაწერილი როდიდან ვერთვებით, ვინ ერთვება ამ გეგმაში... ოღონდ ეს არის ჩვენი - შიდა სამუშაო ჯგუფის გეგმა.“*

როგორც უკვე აღინიშნა, დანაშაულის პრევენციის ცენტრის როლი და ფუნქცია გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში ძირითადად გათავისუფლებამდე მსჯავრდებულებისთვის ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლებოდა. იუსტიციის სამინისტროს მხრიდან მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, გასული წლების განმავლობაში, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, გათავისუფლებამდე 1-3 თვით ადრე ცენტრის სოციალური მუშაკები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ხვდებოდნენ მსჯავრდებულებს და მათ აწვდიდნენ ინფორმაციას პროგრამისა და სერვისების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის აღრიცხვა და დამუშავება 2015 წლიდან ხორციელდებოდა. 2015 წლიდან დღემდე პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით სოციალური მუშაკები 138 არასრულწლოვან პატიმარს შეხვდნენ .

*ცხრილში მონაცემები მოცემულია წლების მიხედვით.*[64]

| წლები | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|
| ყოფილ პატიმართა რაოდენობა | 74 | 35 | 11 | 9 | 9 |

[64] იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის N346, 27/06/2019 წერილი.

## არასაპატიმრო სასჯელები

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, არასრულწლოვანთა არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებას პრობაციის ეროვნული სააგენტო და აღსრულების ეროვნული ბიურო (სასჯელის სახით ჯარიმის აღსრულებისას)[65] უზრუნველყოფს.

პირობითი მსჯავრის, ისევე როგორც არასაპატიმრო და საპატიმრო სასჯელების მთავარი მიზანი საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია და დანაშაულის განმეორებითი ჩადენის პრევენციაა. შესაბამისად, პირობითი მსჯავრის გამოყენების და შემდგომში მისი აღსრულების პროცესი დამყარებული უნდა იყოს ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევის ყველაზე ეფექტიან, სამართლიან, ობიექტურ და ჰუმანურ მეთოდებსა და სტრატეგიებზე.

პროგრესულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის სტანდარტებიც, მაგალითად, პრინციპი, რომ საპატიმრო სასჯელი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება. ოფიციალური სტატისტიკა აჩვენებს, რომ საპატიმრო ღონისძიებების გამოყენება არასრულწლოვნებთან მიმართებაში, 2014 წელთან შედარებით მნიშვნელოვანად არის შემცირებული. თუმცა, ამავე დროს, მცირდება პირობით მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობაც, რაც განრიდების მექანიზმის აქტიურ გამოყენებასთან[66] არის კავშირში.




[65] იქვე, გ.77
[66] http://ganrideba.ge/





პირობითი მსჯავრის აღსრულების დროს, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლომ, შესაძლოა, პირს დააკისროს ისეთი ვალდებულებების შესრულება, როგორიცაა:

- პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი;
- არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში;
- არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი;
- მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს;
- გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსი;
- ხოლო, თუ მსჯავრდებული ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირია – გაიაროს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი. სასამართლოს შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს სხვა მოვალეობაც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას.[67]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-14 მუხლი სასამართლოს მიუთითებს, რომ ბავშვთა საქმეების განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს პიროვნების სოციალურ და სხვა სახის მახასიათებლებზე (ინდივიდუალური მიდგომის პირობით): „არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა“.

აღნიშნული სტანდარტის დაცვის მიზნით, პრობაციის ეროვნული სააგენტო არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნისას ბავშვის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ამზადებს.[68] კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მთავარი მიზანი ბავშვის სოციალური გარემოს, მისი უნარებისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლაა. ანგარიში მოსამართლეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული ობიექტური სასჯელის განსაზღვრაში ეხმარება.

ასეთ ანგარიშს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი ამზადებს მოსამართლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ხოლო საპროცესო შეთანხმების შემთხვევაში - პროკურორის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ანგარიშს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის მქონე სოციალური მუშაკი[69]

[67] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 65.
[68],, არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3.
[69] საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება #132/#95/#23, 2016 წლის 15

წერს. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები ასევე ამზადებენ განრიდებისას და არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას.

პრობაციის ეროვნულ სააგენტოში საგანმანათლებლო-სარებილიტაციო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელია სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო, რომლის მთავარი ფუნქციაა[70]:

- პრობაციის ეროვნული სააგენტოს იურისდიქციაში მყოფ მსჯავრდებულთა, განრიდებულთა ინდივიდუალური ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების ორგანიზება;
- ფსიქოსოციალური, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამების მოდელების შემუშავება-ადაპტირება, განხორციელება და მართვა;
- სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების პერიოდული პროფესიული გადამზადების ორგანიზება;
- მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის მიმართულებით, პროფესიული სტანდარტების შემუშავება და დანერგვა;
- რეაბილიტაციის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა-ფუნქციონირება;

- მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადებისა და რეაბილიტაციის მიმართულებით პენიტენციურ სისტემასთან კოორდინირებული თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა, შესაბამისი საქმიანობის განხორციელება.

არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართ ასევე დგება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა, რომელსაც წინ უსწრებს მსჯავრდებულის რისკების შეფასება. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის შეფასებას და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენას მულტიდისციპლინური გუნდი ახორციელებს. აღნიშნული გუნდი, როგორც წესი, შედგება კონკრეტულ არასრულწლოვან მსჯავრდებულთან მომუშავე პრობაციის ოფიცრის, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგისგან.

მარტი, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ, დანართი #2, მუხლი 1

70 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №903 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე, მ.9.





პრობაციის ბიუროს იმ სამოქმედო ტერიტორიაზე, რომელზეც არ ხორციელდება სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მომსახურება, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის შეფასებას და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენას პრობაციის ოფიცერი უზრუნველყოფს.

არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასება 32 სამუშაო დღეში უნდა მოხდეს - გარდა იმ შემთხვევისა, როცა განსაკუთრებული საჭიროების გამო, ეს ვადა საკმარისი არ არის. ასეთ შემთხვევში ვადა შეიძლება 7 დღით გაგრძელდეს. შეფასების დროს აქცენტი კეთდება არასრულწლოვნის მიერ საკუთარი თავისთვის ან სხვისთვის ზიანის მიყენების რისკზე, რომელიც შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო ან მაღალი დონის. გარდა ამისა, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობა, შეიძლება, იყოს დაბალი, საშუალო ან მაღალი ხარისხის.

სასჯელის აღსრულების ინდივიდუალურ გეგმას, შეფასების საფუძველზე, მულტიდისციპლინური გუნდი ადგენს. აღნიშნული გეგმა თანხმდება არასრულწლოვან მსჯავრდებულთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან, რაც დასტურდება გეგმაზე არასრულწლოვანი მსჯავრდებულის და კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი მსჯავრდებული ან კანონიერი წარმომადგენელი უარს აცხადებს გეგმის ხელმოწერაზე, დოკუმენტში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზზე. გეგმის ხელმოწერაზე უარი გეგმის აღსრულებას არ აფერხებს.

ზიანის რისკის დონისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის ხარისხის მიხედვით, არასრულწლოვანი მსჯავრდებული მონაწილეობს სარეაბილიტაციო პროგრამებში, შემდეგი წესით:

- ზიანის რისკის დაბალი დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის დაბალი ხარისხის შემთხვევაში, არასრულწლოვან მსჯავრდებულს განესაზღვრება სარეაბილიტაციო პროგრამებში ნებაყოფლობითი მონაწილეობა;
- ზიანის რისკის დაბალი დონისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის საშუალო ხარისხის შემთხვევაში, არასრულწლოვან მსჯავრდებულს განესაზღვრება სარეაბილიტაციო პროგრამებში ნებაყოფლობითი ან სავალდებულო მონაწილეობა;
- ზიანის რისკის დაბალი დონისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის მაღალი ხარისხის შემთხვევაში, არასრულწლოვან მსჯავრდებულს განესაზღვრება სავალდებულო სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა. ამასთან, შეიძლება განესაზღვროს ნებაყოფლობით სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობაც;
- ზიანის რისკის საშუალო დონისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის დაბალი ხარისხის შემთხვევაში, არასრულწლოვან მსჯავრდებულს განესაზღვრება სავალდებულო სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა.

ამასთან, შეიძლება განესაზღვროს ნებაყოფლობით სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობაც;

- ზიანის რისკის საშუალო დონისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის საშუალო ხარისხის შემთხვევაში, არასრულწლოვან მსჯავრდებულს განესაზღვრება სავალდებულო სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა. ამასთან, შეიძლება განესაზღვროს ნებაყოფლობით სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობაც;
- ზიანის რისკის საშუალო დონისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის მაღალი ხარისხის შემთხვევაში, არასრულწლოვან მსჯავრდებულს განესაზღვრება სავალდებულო სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა. ამასთან, შეიძლება განესაზღვროს ნებაყოფლობით სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობაც;
- ზიანის რისკის მაღალი დონისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის დაბალი ხარისხის შემთხვევაში, არასრულწლოვან მსჯავრდებულს განესაზღვრება სავალდებულო სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა. ამასთან, შეიძლება განესაზღვროს ნებაყოფლობით სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობაც;
- ზიანის რისკის მაღალი დონისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის საშუალო ხარისხის შემთხვევაში, არასრულწლოვან მსჯავრდებულს განესაზღვრება სავალდებულო სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა. ამასთან, შეიძლება განესაზღვროს ნებაყოფლობით სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობაც;
- ზიანის რისკის მაღალი დონისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის მაღალი ხარისხის შემთხვევაში, არასრულწლოვან მსჯავრდებულს განესაზღვრება სავალდებულო სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა. ამასთან, შეიძლება განესაზღვროს ნებაყოფლობით სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობაც.

სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი ხორციელდება გეგმის დასრულების ეტაპზე, არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის გეგმით გაწერილი ღონისძიებების შედეგების შეფასების მიზნით. გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს/ახორციელებენ გეგმის დოკუმენტში მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი პირი/პირები.[71]

[71] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №179 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში არასრულწლოვნის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის ფორმისა და წესის დამტკიცების შესახებ





იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კვლევის საანგარიშო პერიოდში, სააგენტოში ხორციელდება 23 სახის სარებილიტაციო პროგრამა, კერძოდ:

1. ძალადობის რაობა და მისგან დაცვის საკანონმდებლო მექანიზმები;
2. ბრაზის მართვა;
3. პენიტენციური სტრესის მართვის სატრენინგო მოდული;
4. ტრეფიკინგი;
5. ჯანსაღი ცხოვრების წესი;
6. ცხოვრებისეული ფასეულობები;
7. საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროგრამა;
8. საინფორმაციო ხასიათის ტრენინგი;
9. ადამიანის უფლებების, მოწყვლადი ჯგუფებისადმი ტოლერანტობის განვითარების ტრენინგ პროგრამა;
10. ადიქტოლოგია ჩავარდნის პროფილაქტიკა;
11. ეფექტური კომუნიკაცია;
12. თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის სატრენინგო მოდული;
13. სოციალურ გარემოში ადაპტაცია;
14. დანაშაულის გაცნობიერება მოზარდებისათვის;
15. კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა;
16. ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამა;
17. ცხოვრებისეული ფასეულობები (ზრდასრულები);
18. ცხოვრებისეული რისკები და პიროვნული რესურსები;
19. მომავლის დაგეგმვა;
20. პოზიტიური აზროვნების უნარ- ჩვევების პროგრამა;
21. ინტერვენციის პროგრამა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული პირობით მსჯავრდებულთათვის;
22. დანაშაულის გაცნობიერება;
23. როგორ დავეხმაროთ მოზარდებს (მშობელთა უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამა).

ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამები ხორციელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, პრობაციის ყველა იმ ბიუროში, სადაც დანერგილია რისკებისა და საჭიროებების შეფასება. ბენეფიციარებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდებას უზრუნველყოფენ პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები.

გარდა ამისა, მოწოდებული იქნა ინფორმაცია იმ პროგრამების თაობაზე, რომლებიც 2014-2019 წლებში ხორციელდებოდა. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია წლების

მიხედვით. 2014-2015 წლებში ინფორმაცია ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით არ მუშავდებოდა, რის გამოც წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია. [72]

**2014 წელი.** სარეაბილიტაციო მომსახურება გაიარა 1398-მა ბენეფიციარმა. ამ პერიოდში არ მუშავდებოდა სტატისტიკა სარეაბილიტაციო პროგრამების და სასჯელის და ბენეფიციართა სქესის და ასაკის მიხედვით. აქედან გამომდინარე, 1398 ბენეფიციარში იგულისხმება როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულები და განრიდებულები.

**2015 წელი.** სარეაბილიტაციო პროგრამა გაიარა 3570-მა ბენეფიციარმა. 2015 წელს არ მუშავდებოდა სტატისტიკა სასჯელის ფორმის და ბენეფიციართა სქესის და ასაკის მიხედვით. შესაბამისად, 3570 ბენეფიციარში შედის როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებული და განრიდებულები.

**2016 წელი.** სარეაბილიტაციო პროგრამა გაიარა 87-მა არასრულწლოვანმა პირობით მსჯავრდებულმა: აქედან 83 მამაკაცი იყო, ხოლო 4 - ქალი. სარეაბილიტაციო პროგრამებს ბენეფიციარებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო აწვდიდა.

*იხილეთ დეტალურად ცხრილი:*

| პროგრამა | ბენეფიციართა რაოდენობა |
|---|---|
| კონსულტირება | 12 |
| ბრაზის მართვა | 4 |
| სტრესის მართვის სატრენინგო მოდული | 2 |
| ტრეფიკინგი | 1 |
| ჯანსაღი ცხოვრების წესი | 6 |
| ცხოვრებისეული ფასეულობები | 12 |
| საინფორმაციო ხასიათის ტრენინგი | 1 |
| ადიქტოლოგია | 1 |
| ეფექტური კომუნიკაცია | 3 |
| თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის სატრენინგო მოდული | 2 |
| დანაშაულის გაცნობიერება | 19 |
| კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა | 15 |

[72] N2/59904, 02/07/2019 წერილი იუსტიციის სამინისტროს პრობაციის ეროვნული სააგენტოდან.





| | |
|---|---|
| ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამა | 9 |
| ცხოვრებისეული რისკები და პიროვნული რესურსები | 1 |
| მომავლის დაგეგმვა | 4 |
| პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების პროგრამა | 2 |
| ინტერვენციის პროგრამა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირობით მსჯავრდებულთათვის- | 1 |
| ოჯახი და მისი მახასიათებლები | 1 |
| **სულ** | **87** |

**2017 წელი.** სარეაბილიტაციო პროგრამა გაიარა 61-მა არასრულწლოვანმა პირობით მსჯავრდებულმა: აქედან 58 მამაკაცი იყო, ხოლო 3 - ქალი. სარეაბილიტაციო პროგრამებს ბენეფიციარებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს აწვდიდა.

| პროგრამა | ბენეფიციართა რაოდენობა |
|---|---|
| კონსულტირება | 5 |
| ბრაზის მართვა | 3 |
| ძალადობის რაობა და მისგან დაცვის საკანონმდებლო მექანიზმები | 1 |
| ჯანსაღი ცხოვრების წესი | 6 |
| ცხოვრებისეული ფასეულობები | 11 |
| დანაშაულის გაცნობიერება | 21 |
| კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა | 9 |
| ცხოვრებისეული რისკები და პიროვნული რესურსები | 1 |
| მომავლის დაგეგმვა | 7 |
| პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების პროგრამა | 1 |
| **სულ** | **61** |

**2018 წელი.** სარეაბილიტაციო მომსახურება გაიარა 48 პირობით მსჯავრდებულმა არასრულწლოვანმა: აქედან 46 მამაკაცი იყო, ხოლო 2 - ქალი. ამ პერიოდში სარეაბილიტაციო პროგრამებს ბენეფიციარებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო აწვდიდა.

| პროგრამა | ბენეფიციართა რაოდენობა |
|---|---|
| კონსულტირება | 16 |
| ადამიანის უფლებების, მოწყვლადი ჯგუფების ტოლერანტობის განვითარების ტრენინგ პროგრამა | 3 |
| სოციალურ გარემოში ადაპტაცია | 2 |
| როგორ დავეხმაროთ მოზარდებს | 2 |
| ცხოვრებისეული ფასეულობები | 12 |
| თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის სატრენინგო მოდული | 3 |
| დანაშაულის გაცნობიერება | 2 |
| კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა | 4 |
| ცხოვრებისეული რისკები და პიროვნული რესურსები | 2 |
| მომავლის დაგეგმვა | 5 |
| **სულ** | **48** |

**2019 წელი (იანვარი-მარტი).** სარეაბილიტაციო მომსახურება გაიარა 7-მა პირობით მსჯავრდებულმა არასრულწლოვანმა. ყველა მათგანი იყო მამრობითი სქესის. ამ პერიოდში სარეაბილიტაციო პროგრამებს ბენეფიციარებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო აწვდიდა.

| პროგრამა | ბენეფიციართა რაოდენობა |
|---|---|
| კონსულტირება | 2 |
| ცხოვრებისეული ფასეულობები | 2 |
| დანაშაულის გაცნობიერება | 1 |
| კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა | 2 |
| **სულ** | **48** |

როგორც მოწოდებული საჯარო ინფორმაციიდან ჩანს, წლების განმავლობაში იკლებს პირობითი მსჯავრის მქონე პირთა რაოდენობა და შესაბამისად, მათთვის მიწოდებული სერვისების რაოდენობაც. ეს ფაქტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკავშირდება განრიდების მექანიზმის აქტიურ გამოყენებას და სააგენტოს ძირითადი რესურსებიც ამ მიმართულებით არის მობილიზებული, რაც ლოგიკურია.





პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, პენიტენციური სისტემისგან განსხვავებით, ჩატარდა თვისებრივი კვლევა. რესპონდენტებისგან მივიღეთ „გარდამავალ მენეჯმენტთან“ (იხ. ზევით) და ინდივიდუალური შეფასების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია. რესპონდენტების განმარტებით, არასრულწლოვანი მსჯავრდებული მათი ზრუნვისა და კონტროლის ქვეშ ხვდება მხოლოდ ორ შემთხვევაში: პენიტენციური სისტემიდან ვადაზე ადრე გათავისუფლებისას და სასამართლოს მხრიდან პირდაპირ პირობითი მსჯავრის დაკისრების შემთხვევაში.

> *„ჩვენთან პრობაციონერი არასრულწლოვანი ხვდება ორ შემთხვევაში. 1. როდესაც გამოდის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან და პირობითი მსჯავრი აქვს მისჯილი და 2. როდესაც პირდაპირ პირობითი მსჯავრი აქვს განსაზღვრული.“*

თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან სოციალური მუშაკები მუშაობენ, მაშინ როდესაც სრულწლოვნებთან დაკავშირებით, ეს ფუნქცია შესაძლოა, პრობაციის ოფიცერს დაეკისროს.

> *„შემთხვევის მმართველი არასრულწლოვნებთან არის სოციალური მუშაკი. სოციალური მუშაკი არასრულწლოვანთან შემოსვლიდან სასჯელის დასრულებამდე მუშაობს.“*

საჭიროების შემთხვევაში ბავშვთან, შესაძლოა, ფსიქოლოგმაც იმუშაოს. ფსიქოლოგის საჭიროებას შემთხვევის მმართველი - სოციალური მუშაკი განსაზღვრავს.

რესპონდენტების განმარტებით, შეფასების პროცესი აგებულია რისკებისა და საჭიროებების შეფასებაზე. ზიანის შეფასებისთვის გამოყოფილია 7 სამუშაო დღე. იმ შემთხვევაში, თუ ფსიქოლოგის ჩართვაა საჭირო, ეს დრო, შესაძლოა, 12 დღემდე გაიზარდოს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ შეფასების და შემდეგ გეგმის შედგენის პროცესი, შეიძლება, 1 თვემდე გაგრძელდეს.

> *„12 სამუშაო დღე გვაქვს იმისთვის, რომ შეფასება გავაკეთოთ. კიდევ ერთი კვირა რისკების შეფასებას სჭირდება. ფაქტობრივად, თითქმის ერთი თვე გრძელდება შეფასების პროცესი“.*
>
> *“შემთხვევათა 99%-ში ხდება ოჯახის შეფასება, საჭიროების შემთხვევაში სკოლაშიც მივდივართ.”*
>
> *„შეფასებისთვის ძალიან აქტიურად ვიყენებთ სკოლას“.*

რესპონდენტების განმარტებით, სკოლებში ვიზიტისას მთავარი გამოწვევა ბავშვის კონფიდენციალობის დაცვაა.

რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ შემთხვევათა 70%-ში სერვისების მიმწოდებელი უშუალოდ პრობაციის ეროვნული სააგენტოა (მისი მოსამსახურეები: სოციალური მუშაკები/ფსიქოლოგები). თუმცა, დიდ ქალაქებში ასევე თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მათ ბენეფიციარებს სხვადასხვა სერვისებს რეგულარულად აწვდიან.

*„სერვისების 70%-ის მიმწოდებელი პრობაციის ეროვნული სააგენტოა.“ „ ვერ ვიტყვი, რომ სერვისების მიწოდების მხრივ ძალიან გვიჭირს.“*

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ადამიანური რესურსი არ ჰყოფნით. იმ რეგიონებში, სადაც ფსიქოლოგების და სოციალური მუშაკების დეფიციტია, სერვისების მიწოდების მხრივ სერიოზულ გამოწვევებს აწყდებიან. მათი თქმით, იგეგმება სარეაბილიტაციო პროგრამების განახლება/გაერთიანება, რაც სხვადასხვა სახის გამოწვევებთან არის დაკავშირებული.

*“არის რაიონები, სადაც სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები არ გვყავს.“*

*„სარეაბილიტაციო პროგრამებს ჩვენ  თვითონ ვახორციელებთ.“*

სააგენტოში არსებობს ხარისხის კონტროლის სისტემა, რომელიც თანამშრომლებზე პროცესუალურ ზედამხედველობას გულისხმობს. ზედამხედველობის პროცესი მოიცავს ჯგუფზე დასწრებას, დოკუმენტაციის შემოწმებას და სიმულაციურ ტრენინგებს. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ გაცილებით უფრო რთული გარედან მიწოდებული სერვისების ხარისხის კონტროლია, რადგან ასეთი პროექტები დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ხორციელდება და სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები ანგარიშვალდებულნი  მხოლოდ დონორის წინაშე არიან. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ სარეაბილიტაციო პროგრამების გაზომვის ინსტრუმენტის დანერგვაზე ამჟამად მუშაობენ.

*„სამომავლო გეგმებზეც გეტყვით. კვლევის და ანალიზის დეპარტამენტი შეიქმნა. ახლა ვმუშაობთ რისკის და საჭიროების შეფასების ინსტრუმენტის შექმნაზე. მეორე მიმართულება იქნება ჩვენი სარეაბილიტაციო პროგრამების შედეგების გაზომვის ინსტრუმენტების დანერგვა. ეს იქნება პრე და პოსტ-ტესტები, რომელიც შედეგებს ზომავს როგორც მოკლევადიან,  ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.“*

რესპონდენტებმა ასევე ისაუბრეს უწყებათაშორისი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე და პროკურატურასთან თანამშრომლობის პოზიტიურ გამოცდილებაზე.

*„წელიწადში ერთხელ ტარდება ხოლმე გასვლითი შეხვედრა. სოციალური მუშაკები და მედიატორები ვხვდებით პროკურორებს და ვსაუბრობთ იმ გამოწვევებზე, რაც სამუშაო პროცესში გვაქვს.“*





## ზრუნვის შემდგომი სისტემა

პენიტენციური სისტემიდან გათავისუფლებული არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომელსაც პირობითი მსჯავრი არ აქვს, სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ აღარ იმყოფება. მიუხედავად ამისა, ცხადია, ბავშვებს ამ შემთხვევაშიც სჭირდებათ მხარდაჭერა. ასეთ დროს სახელმწიფო მათ მხარდაჭერას და შესაბამის სერვისებს უნდა სთავაზობდეს. განრიდების მექანიზმის აქტიურად გამოყენების, ვადაზე ადრე გათავისუფლების მექანიზმის გამოყენების და შერეული სასჯელების გამო[73], ისეთი შემთხვევები, როცა არასრულწლოვანი თავისუფლდება პენიტენციური დაწესებულებიდან და არ აქვს პირობითი მსჯავრი, იშვიათია. ამის გამო, სახელმწიფოს ასეთი კატეგორიის ბავშვებზე ზრუნვის მხრივ დიდი ტვირთი არ აქვს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 2019 წლის ბოლომდე ფუნქციონირებდა სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“, რომლის ბაზაზეც ხორციელდებოდა „ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა“. მას ჰქონდა საკუთარი როლი და ფუნქცია როგორც გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესში (რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ), ისე გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის ნაწილში. თვისებრივი კვლევისას, რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ გასული წლების განმავლობაში, იმ არასრულწლოვანი ყოფილი პატიმრების რაოდენობა, ვისაც გარკვეული სახის სერვისები სჭირდებოდათ, დიდი არ იყო. ერთადერთი სერვისი, რასაც ყოფილ არასრულწლოვან პატიმრებს სთავაზობდნენ, ტატუს მოშორების პროგრამა იყო.

*„ამ ბენეფიციარებიდან უმეტესობას  ტატუს მოშორება უნდოდა“.*

*„დიახ, არასრულწლოვნებში მხოლოდ ეს კომპონენტი (ტატუს მოშორების პროგრამა) იყო მოთხოვნადი.“*

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ერთადერთი პროგრამა, რომელსაც არასრულწლოვანი პატიმრებისთვის N11 დაწესებულებაში ამჟამად ახორციელებენ, არის „სასიცოცხლო უნარების განვითარების პროგრამა“. პროგრამაში ჩართვის მიზნით ბავშვების შერჩევა ხორციელდება დაწესებულების ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით. პროგრამა არის 6-თვიანი და მასში ჩართულია დაახლოებით 10 პატიმარი. მათი განმარტებით, აღნიშნული მოდული მათ გადასცა საერთაშორისო ორგანიზაციამ - „ვორლდ ვიჟენი“.  დაწესებულებაში

[73] აქ იგულისხმება ისეთი სახის სასჯელი, სადაც არასრულწლოვანს ჰქონდა მისჯილი თავისუფლების აღკვეთა და აქედან ნაწილობრივ პირობითად მოსახდელი, რის გამოც გათავისუფლებისთანავე არასრულწლოვანი პრობაციის ეროვნული სააგენტოს ზრუნვისა და კონტროლის ქვეშ გადადის.

მოხდა მისი მოდიფიცირება და ამ კატეგორიის ჯგუფზე მორგება. სესიები ტარდება კვირაში 2-ჯერ. თითო სესიის ხანგრძლივობაა 1 საათი.

*„ამ ეტაპზე, N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში გვაქვს ერთი ტრენინგ-პროგრამა - სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარება. 6-თვიანი პროგრამაა.“*

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მიწოდებული სერვისების ხარისხი იზომება სპეციალური კითხვარებით, პრე და პოსტ-ტესტების მეშვეობით. გარდა ამისა, ისინი მათ მიერ განხორციელებული სერვისების თაობაზე ინფორმაციას ანგარიშის სახით აწვდიან ხელმძღვანელს, რომლისგანაც უკუკავშირს იღებენ. თუმცა, განსხვავებულია ერთ-ერთი რესპონდენტის მოსაზრება, რომელმაც განაცხადა, რომ სერვისების ხარისხის შეფასების კონკრეტული ინსტრუმენტი არ აქვთ და შესაბამისად, ამ ეტაპზე ვერც მის შედეგებს ზომავენ.

*„სერვისის ხარისხის კონტროლის გაწერილი მექანიზმი არ გვაქვს.“*

კვლევის პროცესში იუსტიციის სამინისტროში მიმდინარეობდა რეორგანიზაცია, იგეგმებოდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს და დანაშაულის პრევენციის ცენტრის შერწყმა და ერთ სსიპ-ად ჩამოყალიბება. 2020 წლისთვის, ამ ორი უწყების შერწმის შედეგად ჩამოყალიბდა დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო. რესტრუქტურიზაციის გამო, სავარაუდოდ, გარკვეული ცვლილებები შევა როგორც კანონში, ისე კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, რის შემდეგაც გვექნება შესაძლებლობა, რომ ვიმსჯელოთ იმის თაობაზე, თუ რა ფორმით ჩამოყალიბდება არასრულწლოვანი ყოფილი პატიმრების ე.წ ზრუნვის შემდგომი სისტემა (After Care).